გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

№7 (1648) 1 — 7 მარტი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ქართველების ბანდა, რომელმაც ბელარუსელ სამართალდამცავებს სისხლი გაუშრო

რა შეცდომა დაუშვეს ქართველმა კრიმინალებმა – საგამოძიებო საქმის დეტალები

„კარგი სიცივე და ჭოჭოხეთი გამოვიარეთ"



რა წიგნი დაწერა კიევში გიგა მაქარაშვილმა და რა ეტაპზეა ბუჩაში ბაღისა და სკოლის მშენებლობის პროექტი

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ფარმაცევტულ პროდუქტებზე ზღვრული საბითუმო სარეალიზაციო ფასი დადგინდება

რატომ გაძვირდა იაფი თურქული მედიკამენტები – კონკურენციის სააგენტო ფარმაცევტულ ბაზარს იკვლევს

„თითქმის ყველამ გამწირა!"

ექსკლუზიური ინტერვიუ ემიგრაციაში წასულ გოგი წულაიასთან

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ქართველი მაშველები თურქეთიდან სამშობლოში სპეციალური ჩარტერული რეისით ჩამოფრინდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველებმა თურქეთში მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო მისია დაასრულეს.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ქართველი მაშველები თურქეთიდან სამშობლოში სპეციალური ჩარტერული რეისით ჩამოფრინდნენ.

საქართველოში დაბრუნებულ მაშველებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დახვდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი და თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ალი ქაან ორბაი, რომლებმაც სამაშველო ჯგუფის წევრებს თურქეთში გამოჩენილი თავდადებისთვის მადლობა გადაუხადეს.

ქართველ მაშველთა ნაწილი, სამაშველო აღჭურვილობითა და ტექნიკით, სახმელეთო გზით დაბრუნდება სამშობლოში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველები თურქეთში, ქალაქ ადიამანში, სტიქიის პირველივე დღეს გაემგზავრნენ, როტაციის შემდეგ კი ჰათაის პროვინციის ქალაქ ანთაქიაში განაგრძეს სამაშველო ოპერაცია.

საერთო ჯამში, მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში 200-მდე მაშველი მონაწილეობდა.

ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრთან ერთად, თურქეთის რესპუბლიკაში, ჰათაის პროვინციაში იმყოფებოდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს გრიგოლ ლილუაშვილთან ერთად, თურქეთის რესპუბლიკაში, ჰათაის პროვინციაში, ქალაქ ანთაქიაში იმყოფებოდა.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ვახტანგ გომელაური და დელეგაციის სხვა წევრები ქართველ მაშველებს შეხვდნენ, რომლებიც თურქეთში, ქალაქ ანთაქიაში, მიწისძვრის სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებს ახორციელებენ.

დელეგაცია, მთავრობის მეთაურის ხელმძღვანელობით, თურქეთის რესპუბლიკის კრიზისული სიტუაციებისა და კატასტროფების მართვის კოორდინაციის ადგილობრივ ცენტრს ეწვია, სადაც მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას გაეცნო. ადგილზე იმყოფებოდნენ თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი სულეიმან სოილუ, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ფათიჰ დონმეზი, გარემოს დაცვის, ურბანიზაციისა და კლიმატის ცვლილებების მინისტრი მურათ ქურუმი და თურქეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, ჩაღათაი ქილიჩი.

მთავრობის მეთაურმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ქართველ მეხანძრე-მაშველებს მადლობა გადაუხადეს.

„მინდა, პირველ რიგში, კიდევ ერთხელ, ღრმა მწუხარება გამოვხატო და სამძიმარი ვუთხრა გარდაცვლილი ადამიანების ოჯახებს, თურქეთის მთავრობას. ნამდვილად ძალიან მძიმეა, რასაც ეკრანიდან უყურებ, თუმცა შენი თვალით რომ ხედავ, ბევრად მძიმე სანახავია. ჩვენი მაშველები არიან გამოცდილები და მომზადებულები მაღალ დონეზე. მინდა, მადლობა ვუთხრა თითოეულ მათგანს, მე ამაყი ვარ ნამდვილად, როდესაც გვეუბნებიან – მადლობა, რომ თქვენმა ბიჭებმა ძალიან მაგრად იმუშავეს. ყველა კითხულობდა, ქართველები სად არიან, გვიშველეთო და ეს ჩემთვის ნამდვილად საამაყოა. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა მათ. იცით, რომ იმ დღიდანვე, იმ დილითვე, ბატონი პრემიერის დავალებით მოხდა მობილიზება ჩვენი მაშველების, აღჭურვილობის და დილიდანვე დაიძრნენ ეპიცენტრის მიმართულებით“, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი არიან.

კახეთის პოლიციამ არასრულწლოვანი შვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული ა.თ. ოჯახის არასრულწლოვანი წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, თავისი ორი წლის შვილზე ძალადობა განახორციელა, რის შედეგადაც მცირეწლოვანმა ბავშვმა სხეულზე მრავლობითი დაზიანება და მოტეხილობა მიიღო. გოგონა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც ამ დრომდე განაგრძობს მკურნალობას.

ოჯახის ერთი წევრის მიერ, წინასწარი შეცნობით, ოჯახის არასრულწლოვანი წევრის მიმართ ჩადენილ ძალადობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

შს მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე პროექტის – „პრომეთეუსის“ მეორე ფაზის გახსნით ღონისძიებას დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „პრომეთეუსის“ (II ფაზა) გახსნით ღონისძიებას დაესწრო. შეხვედრას ესწრებოდნენ საფრანგეთის ელჩი საქართველოში შერაზ გასრი, საქართველოში იტალიის ელჩი ენრიკო ვალვო, საქართველოში ლატვიის ელჩი ედით მედნე, საქართველოში ესპანეთის სახელმწიფო რწმუნებული მარკოს გრანადოს გომესი, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი ევია კოტანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი ეკატერინე მაჭავარიანი, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა სირაძე, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი თეიმურაზ კუპატაძე და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ალექსანდრე დარახველიძემ ღონისძიების მონაწილეებსა და მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა. მინისტრის მოადგილემ ევროკავშირის დელეგაციასა და პროექტ Prometheus-ის კონსორციუმის მონაწილე ქვეყნებს პროექტის მხარდაჭერისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა. მან ხაზგასმით აღნიშნა პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისთვის გაწეული დახმარების მასშტაბი და მნიშვნელობა. მინისტრის მოადგილემ ასევე ისაუბრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მნიშვნელობაზე საზღვრისა და მიგრაციის მართვის, ასევე, არალეგალური მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

ალექსანდრე დარახველიძემ ვრცლად მიმოიხილა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესში მიღწეული პროგრესი და ამ მიმართულებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული რეფორმები და ახალი ინიციატივები. სიტყვით გამოსვლის დასასრულს, მინისტრის მოადგილემ კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება საერთაშორისო პარტნიორების, განსაკუთრებით კი ევროკავშირის მიმართ და სამომავლო ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი გამოთქვა.

პროექტ Prometheus-ის მეორე ფაზა 2022 წლის დეკემბერში დაიწყო და მისი მთავარი მიზანი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებაა საზღვრისა და მიგრაციის მართვის, ასევე, ორგანიზებულ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებებით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებებისა და სამოქმედო გეგმების, განსაკუთრებით, ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სწავლებები, სამუშაო შეხვედრები და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფებისთვის. პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება.

102 წელი ტრაგედიიდან – ირაკლი ღარიბაშვილმა კოჯორში იუნკერთა მემორიალი გვირგვინით შეამკო

102 წელი გავიდა იმ ავბედითი დღიდან, როცა საქართველოში ბოლშევიკები შემოვიდნენ და ქვეყანა გააწითლეს. წითელ ჭირს იმთავითვე წინააღმდეგობას უამრავი ქართველი უწევდა, თუმცა ისტორიამ მხოლოდ იუნკრების სახელები შემოინახა.

25 თებერვალს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, კოჯორში იუნკერთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

მთავრობის მეთაური მემორიალზე პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან და თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძესთან ერთად მივიდა.

წელს, საბჭოთა ოკუპაციიდან 102 წელი შესრულდა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, დროშები დაეშვა ადმინისტრაციულ შენობებზე და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში.

შეგახსენებთ: 25 თებერვალი საბჭოთა ოკუპაციის დღედ საქართველოს პარლამენტის დადგენილებით არის გამოცხადებული.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„თითქმის ყველამ გამწირა!“

ექსკლუზიური ინტერვიუ ემიგრაციაში წასულ გოგი წულაიასთან

ცოტა ხნის წინ, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და გოგი წულაიას პატიმრობა შეუფარდა. სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებაში ბრალდებული წულაია თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ გაამართლა და ექვსი თვით პატიმრობა მიუსაჯა. პოლიტიკოსი 138-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა, რაც ძალადობით ჩადენილ სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას გულისხმობს. 126-ე მუხლის პირველი ნაწილი კი, რაშიც წულაია დამნაშავედ სცნეს, მოიცავს ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია. სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის განაჩენი შეცვალა და პოლიტიკოსს პატიმრობა 138-ე მუხლით შეუფარდა.

გოგი წულაია საქართველოში არ იმყოფება – დიდი ხანია, საფრანგეთში ცხოვრობს და „ვერსია“ ქართველ პოლიტიკოსს სტრასბურგში დაუკავშირდა. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს (სტილი დაცულია, – რედ.).

– ბატონო გოგი, როდის გაემგზავრეთ საფრანგეთში და რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?

– წელიწადი და ერთი თვეა, რაც წამოსული ვარ. მაშინ მაგრძნობინეს, რომ თუ კიდევ არ გავჩერდებოდი, მელოდა ციხე. ავდექი და წამოვედი, თავისუფლებაზე ყოფნა ვამჯობინე. ვთვლიდი, რომ მაგ ქვეყანაში, პოლიტიკაში, ჩემი თავი ჯერჯერობით ამოვწურე. თვითონ პოლიტიკაც არ არსებობს ქვეყანაში, მე კი არა, მგონი, ყველამ ამოვწურეთ ჩვენი თავი ქართულ პოლიტიკაში. დაჭერის საშიშროება იყო, პოლიტიკის პერსპექტივა არ არსებობდა და ვარჩიე წამოსვლა.

– რატომ აირჩიეთ საფრანგეთი და ხომ არ ითხოვთ დევნილის სტატუსს?

– საფრანგეთი ავირჩიე იმიტომ, რომ ნათესავები მყავდა აქ. ასე ადვილი არ არის, საფრანგეთში რომ ჩახვალ, შემოგასკდებიენ ფრანგები, მოდი, აგერ დასახლდიო. ასე არსად არაა და არც უნდა იყოს. ამიტომ, სადაც შემიფარებდნენ, ის ქვეყანა ავარჩიე, თან ემიგრაციის მიმართ საფრანგეთს მეტი ლოიალური დამოკიდებულება აქვს. რაც შეეხება დევნილის სტატუსს, ამ თემაზე, ჯერჯერობით, არ მსურს საუბარი.

– ბატონო გოგი, სააპელაციო სასამართლომ სასჯელი დაგიმძიმათ. როგორ აფასებთ ამ გადაწყვეტილებას?

– რა თქმა უნდა, დამიმძიმა. ექვსი თვე მქონდა და ოთხ წლამდე გაიზარდა სასჯელი. 138-ე მუხლი საერთოდ მოხსნილი მქონდა და, რა თქმა უნდა, სააპელაციო სასამართლომ გააკეთა ის, რაც დაავალენ და მომცა ოთხი წელი. ამით მაინც დამტკიცდა, რომ ვარ პოლიტიკური დევნილი და მანდ რომ ვიყო, ვიქნებოდი პოლიტიკური პატიმარი. პოლიტიკური დაკვეთა შეასრულეს. ვინმეს მოსწონს თუ არა, ჩემი აღშფოთება, რომელიც გამოვხატე ბერას ერთ-ერთ ინტერვიუზე და ვთვლი, რომ სწორი ვქენი და ყველას სათქმელი ვთქვი – ამით მე მათ შევულახე ღირსება, მოდით და გამისწორდით-მეთქი. ჰოდა, გამისწორდნენ, მაგრამ მე არ ვთვლი თავს დამარცხებულად. ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ და ისტორიაც და დროც იტყვის, ვინ იყო მართალი ჩვენ შორის – ვიყავი პოლიტიკური პატიმარი თუ არა, ვარ პოლიტიკური დევნილი თუ არა... მაშინ გულისწყვეტა მქონდა, რომ თითქმის ყველამ გამწირა.

– ვის გულისხმობთ?

– პოლიტიკურ ოპოზიციურ პარტიებს, თითქმის ყველამ გამწირა. რატომღაც, თურმე, ჩემი მოსამართლეა მაგარი მოსამართლე და სწორი გადაწყვეტილებები გამოაქვს, ორთვიანი რომ მლეწა და შემაგდო ციხეში და მათ რომ შეეხებათ, ის მოსამართლეებია უსამართლო, თუ როგორაა? როგორ შეიძლება, ეთქვათ, რომ რომელიღაც მოსამართლის გადაწყვეტილება არის სამართლიანი, თურმე. არავინ მაღიარა პოლიტიკურ პატიმრად და ესაა ჩემი გულისწყვეტა, მაგრამ ეს არაფერია, გამივლის. ისევ ვითანამშრომლებთ ერთად, ისევ დადგება მაგ ქვეყანაში სიტუაცია, სადაც დაბრუნდება დემოკრატია, ამაში ვარ დარწმუნებული. ძალიან მალე უკრაინის ომი იზამს ამას. ვთვლი, რომ ამ წუთას, საქართველოში, არ არსებობს ის პოლიტიკური სიტუაცია, ადამიანებში ის მუხტი, რომელიც ამ ხელისუფლებას შეცვლის. ყოველ შემთხვევაში, აქედან გადმოსახედიდან ასე ჩანს.

– იმის გამო, რომ თქვენს კოლეგებზე ხართ გულდაწყვეტილი, ამანაც ხომ არ გადაგაწყვეტინათ სამშობლოს დატოვება?

– არა, რა თქმა უნდა! არ ვარ ემოციებს აყოლილი ადამიანი, ვფიცავ ყველაფერს... რადგან ეს თემა ასე გაიშალა, მინდა, მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, რადგან მან პირდაპირ თქვა, გოგი წულაია არის პოლიტიკური პატიმარიო. შალვა ნათელაშვილმაც იგივე თქვა. რა თქმა უნდა, გოჩა ჯოჯუა ჩემი მეგობარია, ჩემი ლაშა ჩხარტიშვილი, ლევანი, გიო, ქუთაისი... არ მინდა, ვინმე გამომრჩეს. ძალიან ბევრმა ადამიანმა დააფიქსირა პოზიცია კაცურად. კაკო ბობოხიძე, ბოლო-ბოლო, სკოლის მეგობრები ვართ, მან იაქტიურა და შუალედური განცხადება გაკეთდა, შერჩევითი სამართლის მსხვერპლიაო. ამას ციხეში, კამერაში ვუყურებდი ტელევიზორით და გამეხარდა, რომ რაღაც მაინც ითქვა ჩემზე ტელევიზიით... გამოვიდა ხატია დეკანოიძე და თქვა, რომ არ ეთანხმება ამ განცხადებას, მაგრამ მე ვთვლიდი, რომ ამ ქვეყნისთვის იბრძოდა იმ წუთას ხატია დეკანოიძე, როცა ქუთაისში მიტინგი გამართა გაყალბებული არჩევნების გამო, მივედი და ვიდექი მის გვერდში, გამიგეთ? მე მის გვერდში კი არა, იმ საქმის გვერდში ვიდექი, რადგან ჩემთვის მნიშვნელოვანი არის საქართველო. ყველასთან დავდგები და ვითანამშრომლებ, წყენაა თუ არაა წყენა, მაგას ისტორია განსჯის.

– ბატონო გოგი, რის საფუძველზე გადააკვალიფიცირა სააპელაციო სასამართლომ თქვენ მიმართ მსჯავრი, ახალი მტკიცებულება ხომ არ მოიპოვეს?

– აბსოლუტურად არაფერი. საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ადვოკატი არის ვალერი გელბახიანი. მე ხომ არ ვესწრებოდი სხდომას და დამიწყო მოყოლა... მე ვუთხარი, ვიცი, ვალერ, რაცხა სისულელეს იტყოდნენ-მეთქი... რა თქმა უნდა, არაფერი აქვთ...

სხვათა შორის, სანამ ცოლ-შვილი მყავდა საქართველოში, არც ერთი ინტერვიუ არ მიმიცია, რადგან მეშინოდა... ამიტომ, როგორც კი ოჯახი ჩამომივიდა საფრანგეთში, მის მერე გავაქტიურდი, ასე თუ ისე. ტელევიზიებში გამოვჩნდი, „ლაივების“ ჩაწერა დავიწყე... ბოლო-ბოლო, აგერ, ინტერვიუს გაძლევთ საქართველოში. ჰოდა, ადგნენ და მშვლიპენ ოთხი წელი, შენ ჭკუა ვერ ისწავლეო (იცინის). მეტი რა უნდა დავესაჯენ, ოთხი თვე ციხეში მაყურყუტეს და იძულებითი ემიგრაცია მივიღე. ეს მომენტი რომ არ დამდგარიყო, შვილებს ვფიცავ, ემიგრანტად ჩემს თავს ვერც წარმოვიდგენდი, ფიქრადაც კი, მაგრამ მაინც არ ვთვლი დასჯილად თავს. ჰოპლა, ჩვენ ცოცხლები ვართ, ჩვენ ვიბრძვით...

„კარგი სიცივე და ჯოჯოხეთი გამოვიარეთ“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა წიგნი დაწერა კიევში გიგა მაქარაშვილმა და რა ეტაპზეა ბუჩაში ბაღისა და სკოლის მშენებლობის პროექტი

სამოქალაქო აქტივისტი გიგა მაქარაშვილი, ერთი წელია, უკრაინაშია და საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. გიგამ რამდენიმე თვის წინ, რუსეთის მიერ დანგრეულ ბუჩაში, ქართველი ხალხის სახელით, სკოლისა და ბაღის აშენება დააანონსა, რაზეც ბუჩას მერია სიხარულით დასთანხმდა... მაქარაშვილთან ინტერვიუ ამ თემაზე რამდენიმე თვის წინ ჩავწერე, როდესაც ჯერ კიდევ პროექტი იქმნებოდა და ამ კეთილ საქმეს საფუძველი ეყრებოდა... ახლაც დავინტერესდი, რა ეტაპზეა ბუჩაში ქართული საბავშვო ბაღის მშენებლობა და როგორია ცხოვრება ომის ეპიცენტრში – გთავაზობთ ინტერვიუს
გიგა მაქარაშვილთან, კიევიდან:

– ძალიან მიხარია, რომ ეს ინტერესი კიდევ არსებობს, რადგან ომის ერთი წელი გავიდა და ბევრი რამ მივიწყებას მიეცა, მაგრამ ეს ბაღი, როგორც ჩანს, აქტუალურია და მიხარია, რომ არ პროექტს ერთად გავაკეთებთ. შარშან, აპრილში გავაჟღერე იდეა ბაღის აშენების შესახებ და ისეთი ინტერესი წამოვიდა საზოგადოებისგან, ვიგრძენი, დიდი მხარდაჭერა მექნებოდა. მალევე მივიღეთ ბუჩას მერიისგან თანხმობა ბაღის აშენებაზე და დავიწყეთ მუშაობა კონცეფციაზე – თუ როგორი უნდა ყოფილიყო ბაღი. ყოჩაღად ვიმუშავეთ და აგვისტოში უკვე მზად ვიყავით მშენებლობის დასაწყებად. სექტემბერში მივიღეთ გაფორმებული მემორანდუმი ბუჩას მერიასთან და დაიწყო მიწის მოზომვა, გეოდეზიური სამუშაოები და ა.შ.

პირველ სექტემბერს კი შეიცვალა კანონი უკრაინაში და დაევალა ყველა მშენებელ სუბიექტს, რომ უკრაინის ყველა ბაღში უნდა იყოს ბომბებისგან თავშესაფარი. ამიტომ მოგვიწია პროექტის თავიდან ბოლომდე გადაკეთება, რაც მალევე გავაკეთეთ და ოქტომბერში გვინდოდა, შევსულიყავით, დაგვეწყო მშენებლობა, მაგრამ ზუსტად ოქტომბერში დაიწყო რუსეთმა ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე თავდასხმა და ამის შემდეგ, ფაქტობრივად, მთელი ზამთარი ელექტროენერგია, გაზი და წყალი არ გვქონია.

იმის გამო, რომ ადამიანები აღარ აქცევდნენ ყურადღებას საჰაერო განგაშს, აღარავინ ჩადიოდა თავშესაფარში, სამსახურებიც კი არ წყვეტდნენ მუშაობას, კანონმა ძალიან მკაცრად მოსთხოვა პასუხი ყველა ორგანიზაციას, რომ თანამშრომლები განგაშის დროს უნდა იყვნენ უსაფრთხოდ და ჩვენც მივიღეთ რეკომენდაცია, რომ ასეთ დროს, უბრალოდ, არ შეიძლება მშენებლობის დაწყება. სამწუხაროდ, ბევრი დრო დაიკარგა, რადგან ოთხი-ხუთი თვე არ შეიძლებოდა მშენებლობის დაწყება, ახლა კი ყველაფერი დალაგდა და ველოდებით 27 მარტს, როცა სინოპტიკოსების თქმით, ის ტემპერატურა იქნება, როდესაც ბეტონის ჩასხმა იქნება შესაძლებელი. მშენებლობის ნიუანსებში მეც ახლახან გავერკვიე... უკრაინაში დიდი ყინვაა, -20, -30 გრადუსამდეა ტემპერატურა და ასეთ დროს, ბეტონის ჩასხმა არ შეიძლება.

– ანუ ერთ თვეში, ბაღის ფუნდამენტის ჩასხმას დაიწყებთ?

– დიახ და ჩვენი გათვლით, თუ პუტინმა რაღაც საშინელება არ მოიფიქრა და მთლად ატომური ბომბი არ ისროლა, ექვს თვეში უნდა ავაშენოთ – შემდეგ სასწავლო წელს, ბავშვები შეხვდებიან ახალ ბაღში.

– ბაღთან ერთად, სკოლის აშენებასაც აპირებდით, რაიმე ხომ არ შეიცვალა?

– კი, სკოლა და ბაღი არის პროექტი, რომელიც დავიწყეთ და აუცილებლად ავაშენებთ. პირველი ეტაპი ბაღია. რეალურად, ეს არის დიდი კომპლექსი, რომელიც იწყება ბაღის მშენებლობით. ბევრი ფული და ტექნიკა რომ იყოს, ალბათ, სხვა შემთხვევაში და სხვა ადგილას იქნებოდა შესაძლებელი ამის გაკეთება, მაგრამ სამწუხაროდ, არა – უკრაინაში, რადგან ახლა არაა ის მდგომარეობა, როცა მასშტაბური მშენებლობა შეიძლება. ჩვენი შენობა არ იქნება ძალიან დიდი, ერთ სართულზეა განლაგებული და მიწისქვეშ თავშესაფარი, ბუნებრივია, ექნება... თუმცა, დიდ სამშენებლო ტექნიკას ვერ მივიყვანთ და ერთდროულად 100-150 ადამიანს ვერ ვამუშავებთ, ამის უფლება არ გვაქვს, რადგან შეიძლება, ეს გახდეს ოკუპანტების სამიზნე. ეს აქაური სამსახურების მკაცრი რეკომენდაციაა და არ ვაპირებთ, რომ ცხოვრება გავურთულოთ უკრაინელებს...

– გიგა, საქველმოქმედო ფონდი უკვე თუ შექმენით და როდის გამოაქვეყნებთ ანგარიშის ნომერს? ქართველი ბიზნესმენები გიკავშირდებიან დახმარების მიზნით?

– ჯერ არ გვქონდა პროექტი დამთავრებული და ფულის აგროვებას ვერ დავიწყებდით. შემდეგ, პროექტი რომ დავასრულეთ, გავამზადეთ ვებ-გვერდი, რომლის პრეზენტაციაც ძალიან მალე გვექნება. გავამზადეთ ფონდიც, დავარეგისტრირეთ საქართველოში და უკრაინაშიც, ოფიციალურად ყველაფერი დასრულებულია. ველოდებოდით ბიუჯეტს, რომ შესაბამისად, დაგვეწყო ფულის შეგროვება.

კი, იცით, რომ უკრაინაში საკუთარი სამშენებლო პროდუქციის წარმოებას ვეღარ ახერხებენ და ფასები ძალიან გაიზარდა ყველაფერზე. ომია ერთი წელია და ლოგიკურია, რომ რაღაცები 300-400%-ით გაძვირდა. მუდმივად მაქვს ამის შიში, რადგან ფასები ძალიან გაზრდილია. თავიდან რომ ვითვლიდით, დაახლოებით, 700 000 დოლარის ფარგლებში უნდა ჩავტეულიყავით,

დასასრული მე-6 გვერდზე

„კარგი სიცივე და ჯოჯოხეთი გამოვიარეთ“

მე-5 გვერდიდან

შემდეგ თავშესაფრის აუცილებლობა დადგა, რამაც 250 000 დოლარით გააძვირა ეს პროექტი და ამის შემდეგ, ფასები ძალიან გაიზარდა. მთელი ეს დრო მოვახმარე იმას, რომ უკრაინის სამეზობლოში ვეძებ პროდუქციას სუკეთესო ფასად. საქართველოსგან განსხვავებით, უკრაინას ბევრი ტკბილი მეგობარი ჰყავს და მზად არიან, რომ რადგანაც უკრიანისთვის ვაკეთებთ, შედარებით იაფად მოგვცენ პროდუქცია. ვფიქრობ, 27 მარტს დაიწყება ფუნდამენტის ჩასხმა და კონსტრქუციის აგება. დიდი იმედი მაქვს, რომ ამინდიც ხელს შეგვიწყობს.

რაც შეეხება თანხას, დავიწყეთ მოლაპარაკება ქართულ ბიზნესთან. საბედნიეროდ, რამდენიმე მსხვილი კომპანია დაგვთანხმდა თანამშრომლობაზე. პირველი მათგანი იყო PSP, რომელიც 100 000 ლარს შემოიტანს პირველადი სახით ამ ბაღის მშენებლობისთვის. გველოდება ბანკი „კრედო“... ველოდებით ისეთ კომპანიებთან თანამშრომლობას, რომლებიც არ არიან ხელისუფლებასთან შეკრულნი, რადგან ასეთ პროექტებშიც კი გვიწევს იმის გათვალისწინება, რომ ხელისუფლებასთან ასოცირებული კომპანიები ცდილობენ, თავი შორს დაიჭირონ, თუნდაც ასეთი კეთილი საქმისგან. დაველაპარაკებით თიბისის, საქართველოს ბანკს, „კოკა-კოლას“ და ა.შ. დანარჩენი თანხა კი აუცილებლად ხალხისგან შეგროვდება. ეს არ უნდა დააწვეს ჩვენს მოსახლეობას კისერზე, ექვსი თვის განმავლობაში, 5.00 ლარი ხელფასიდან რომ ჩარიცხოს 20 ათასმა კაცმა, ეს თანხა სრულიად საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ბაღი ავაშენოთ.

– პოლიტიზირება ახსენეთ და გულისწყვეტას გამოვთქვამ, თუ ვინმე პოლიტიკური შეხედულების მიხედვით, უარს ამბობს ამ კეთილ საქმეზე. ხელისუფლების მხრიდან, რამე დახმარების სურვილი ხომ არ ყოფილა? არავინ შეგეხმიანათ ამ იდეაზე?

– იყო რაღაც კავშირები – მხოლოდ მუქარა, შანტაჟი და ხელშეშლის მცდელობა, მეტი არაფერი, სამწუხაროდ. იყვნენ კომპანიები, რომელთა წარმომადგენლებიც ძალიან ჩუმად შემხვდნენ და მითხრეს, ცოტ-ცოტას დაგეხმარებით, მაგრამ არ უნდა თქვა, თორემ დაგვიხურავენ ბიზნესსო..

– გიგა, უშუქობა და უწყლობა ახსენეთ... ჩვენ, საქართველოდან კარგად ვერ ვითავისებთ, რა ყოველდღიურ გაჭირვებასა და ტრაგედიას უძლებს უკრაინელი ხალხი. თქვენ კი მანდ, მოვლენების ეპიცენტრში ხართ, მიამბეთ, როგორ ცხოვრობს უკრაინა ომის პარალელურად?

– ერთი წელი შემისრულდა, რაც აქ ვარ. ომის დაწყებისთანავე, აქციები დავიწყეთ უკრიანის მხარდასაჭერად და, ალბათ, გახსოვთ ფრაზა – **„Русский военный корабль, иди на х**“**, რომელიც ამ ომის სიმბოლოდ იქცა და ამ ფრაზის გამო დამიჭირეს. ორი თუ სამი დღე ვიჯექი ციხეში, არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ მაშინ მივხვდი, რომ იქ დროს დავკარგავდი და წამოვედი... ერთი თვე უკრაინა-პოლონეთის საზღვარზე ვიდექი, ათობით ათასი ხაჭაპური გამოვაცხვე ჩვენს ემიგრანტებთან ერთად და ლტოლვილებს ვუმასპინძლდებოდით.

იმ წამიდან მახსოვს უკრაინა. დღეების მანძილზე, კიევის ცენტრში, შეიძლება, ერთი ან ორი მანქანა დაგენახა. ადამიანების ისეთი ნაკლებობა იყო... ძალიან სოციალური ადამიანი ვარ, მიყვარს ხალხთან ურთიერთობა და კინაღამ მოვკვდი, გავგიჟდი, რადგან დღე ისე გადიოდა, ადამიანს ვერ ვნახულობდი. აი, ახლა, ერთი წლის შემდეგ, ისევ კიევში ვარ და ჩემი სახლის წინ არის საცობი, რაც ძალიან კარგია, მიხარია, რომ ადამიანებმა ირწმუნეს – გაქცევა არ არის გამოსავალი, ბოლომდე ბრძოლაა საჭირო ქვეყნისთვის. ბოლომდე მუშაობაა საჭირო, რათა შენს ჯარს შესაბამისი იარაღი, ჩასაცმელი, მედიკამენტები და საკვები ჰქონდეს, რათა დაგიცვას და დაიცვას შენი ქვეყანა.

მახსოვს, სანამ ინფრასტრუქტურული ობიექტების დაბომბვას დაიწყებდნენ, ელექტროენერგიის პრობლემა არ ყოფილა. ყირიმის ხიდი რომ ააფეთქეს უკრაინელებმა, საპასუხოდ დაიწყო რუსეთმა ენერგოობიექტებზე დარტყმა ოქტომბრის ბოლოს. მაშინ ყინვაც დაიწყო და ელექტროენერგიის გათიშვას ავტომატურად მოჰყვა წყლის გათიშვაც. მთელი კიევი ცენტრალურ გათბობაზეა და ავტომატურად გაითიშა გათბობაც. მოკლედ, კარგი სიცივე და ჯოჯოხეთი გამოვიარეთ, მაგრამ მე იმ თაობის ვარ, საქართველოში, 90-იანი წლები რომ გამოიარა და ყველაფერი ეს, არ გვიკვირს (იცინის)... აღვიდგინე მაშინდელი უნარ-ჩვევები, მშრალი სპირტის საშუალებით ვადუღებდი ჩაისთვის წყალს... ისეთი სიცივეა, რომ სახლში საკვები არ ფუჭდება. პირობითად, გარეთ რომ -15 გრადუსი იყო, სახლში მქონდა -12 გრადუსი. საბედნიეროდ, უკრაინელებმა მოახერხეს, რომ მაღაზიები არ დაცარიელებულა და მშივრები ნამდვილად არ ვყოფილვართ.

ალბათ, ასზე მეტჯერ ვარ ჩასული ფრონტის სხვადასხვა წერტილში მედიკამენტების, ტანსაცმლის, საკვების ჩასატანად. ყოველთვის ვცდილობდი, საჭირო ადგილას ვყოფილიყავი... მაგალითად, ბოლოს დნეპრში რომ კორპუსი დაიბომბა, მეორე დღესვე გავიქეცი, მთელი მანქანა გავტენე ჰუმანიტარული ტვირთით და ჯოჯოხეთი ვნახე, მაგრამ ეს საქმე ქართველი ხალხის სახელით გავაკეთე. ქართული დროშა დავკიდე, სადაც გროვდებოდა დახმარებები... ჩვენი დროშით ჩავედი ზაპოროჟიეში, ხერსონში, ყველგან, სადაც მიშვებდა უკრაინული პოლიცია... აქაც, საახალწლოდ, კიევის ცენტრში ვიდექი და ტონაზე მეტი კანფეტი დავარიგე საქართველო-უკრაინის მეგობრობის სახელით...

მოკლედ, ძალიან საინტერესო წელი გვქონდა და იქიდან გამომდინარე, რომ რაღაც პერიოდში ვერ ვმუშაობდით, დავიწყე წერა... პირველ წიგნზე მუშაობა დავასრულე, მგონი, საინტერესო გამოვიდა... საქართველოში გამოვა ეს წიგნი...

– წიგნი იქნება თქვენს უკრაინულ თავგადასავალზე?

– „სინდისის თავშესაფარი – უკრაინა“ – ასე ჰქვია წიგნს...

– გიგა, ესე იგი, ზამთარი გადალახულია და უკრაინელ ხალხს ისევ დაუმარცხებელი განწყობა აქვს?

– დიახ, აქ ეჭვიც არავის ეპარება, რომ ამ ომში უკრაინა გაიმარჯვებს. უკრაინა ძალიან დიდი ქვეყანაა და ჩვენსავით უცნაური ხალხია, უყვართ გაუგებრობებში გახვევა... ომის დაწყებამდე თუ აზრთა სხვადასხვაობა იყო, ახლა უკვე ყველა ერთ აზრზეა და ყველამ იცის, რომ მთავარია, უკრაინული ღირსების დაცვა. ამ წუთას კი უკრაინა იბრძვის თავისი ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობის დასაცავად. აქ ისე ერთ მუშტადაა შეკრული ეს 40-მილიონიანი ერი, შურით ვკვდები და თვალები მიცრემლიანდება, როცა ვუყურებ, რომ ასე ერთად დგანან და ყველაფერს მიაღწევენ. სამწუხაროა, რომ სახელმწიფოებრივ დონეზე ვერ ვახერხებთ მხარში დგომას. არ ვამბობ, ფრონტი გავხსნათ, ან ჯარით დავეხმაროთ, მაგრამ სახელმწიფოს შეუძლია, მინიმუმ, დემარში არ მიუწყოს ომის წლისთავზე, სულელური განცხადებები არ აკეთოს და რუსული მხარე არ დაიჭიროს. მაგრამ, საბედნიეროდ, ამ ხალხმა იცის, როგორია, როცა პრორუსი ხელისუფლება გყავს, გამოცდილი აქვთ და „მაიდნის“ ფასად გადაიარეს ეს ყველაფერი. ამიტომ, ზუსტად იციან, რა გვჭირს ახლა ჩვენ... იციან, რომ პრორუსი ხელისუფლება გვყავს და ხალხი კი მათ გვერდით ვართ. ხედავენ ყველა აქციას, რომელიც მათ მხარდასაჭერად იმართება და მადლობლები არიან... მადლობლები არიან იმ ბიჭებისა, რომლებიც იბრძვიან უკრაინის დასაცავად. უცხოელი ჯარისკაცების ნახევარზე მეტი ქართველია და გარდაცვლილი უცხოელებიდანაც, ნახევარზე მეტი ქართველია, სამწუხაროდ. ამ ყველაფერს უკრაინა არ დაუკარგავს საქართველოს.

– გამარჯვება უკრაინას და თქვენ წარმატებას გისურვებთ ბაღის მშენებლობაში!

– გმადლობთ, თათია!

ფარმაცევტულ პროდუქტებზე ზღვრული საბითუმო სარეალიზაციო ფასი დადგინდება

მაკა რუხაძე

ბოლო დროს, თურქეთიდან იმპორტირებულ იაფფასიან პროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა. პრობლემა იმდენად სერიოზულია, რომ ჯანდაცვის მინისტრმა ფარმაცევტულ ბაზარზე არსებულ გარიგებებზე ღიად მიანიშნა, მსხვილი ფარმაცევტული კომპანიები მკაცრად გააფრთხილა და სანქციების გამკაცრებითაც დაემუქრა. მეტიც, ფასების ხელოვნურად ზრდასთან ერთად, ჯანდაცვის სამინისტრო პრობლემად მიიჩნევს ფარმაცევტულ ბაზარზე მსხვილი ჰოლდინგების დომინანტურ მდგომარეობასაც. ჯანდაცვის მინისტრის მკაცრ განცხადებას კონკურენციის სააგენტოს რეაგირება მოჰყვა – უწყებამ მოკვლევა უკვე დაიწყო. ამასობაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ფარმაცევტული პროდუქტის ფასების რეგულირების უწყებათაშორისი კომისია უფლებამოსილი იქნება, რომ კონკრეტულ ფარმაცევტულ პროდუქტებზე შესაბამისი ზღვრული საბითუმო სარეალიზაციო ფასი დაადგინოს.

რატომ გაძვირდა იაფი თურქული მედიკამენტები – კონკურენციის სააგენტო ფარმაცევტულ ბაზარს იკვლევს

ახალი დადგენილების მიხედვით, რომელსაც ხელს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აწერს, ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების, წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ დადგენილებაში ცვლილებები შევიდა. მაღალი საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ფარმაცევტული პროდუქტის ფასების რეგულირების უწყებათაშორისი კომისია უფლებამოსილი იქნება, რომ ექსპერტუილ შეფასების საფუძველზე, კონკრეტულ ფარმაცევტულ პროდუქტებზე შესაბამისი ზღვრული საბითუმო სარეალიზაციო ფასი დაადგინოს. ასევე, კომისია უფლებამოსილი იქნება, კონკრეტულ ფარმაცევტულ პროდუქტებზე შესაბამისი საბითუმო სარეალიზაციო ფასი შემოიღოს, განსაზღვროს და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც მოაწესრიგოს.

უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობაში შედიან ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების; ფინანსთა სამინისტროების; შემოსავლების სამსახურის; ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტი; სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – საქსტატი და კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები; ასევე, პროფესიული პროფილის დამოუკიდებელი ორი წევრი – ფარმაკოლოგი, ფარმაცევტი და სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორი.

„კომისია უფლებამოსილი იქნება, განსაზღვროს ფარმაცევტულ პროდუქტზე დადგენილი ფასის ძალაში შესვლის განსხვავებული ვადები და პირობები. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ფასებს შესაბამის კატალოგში გამოაქვეყნებს. განახლებული ფასი კი ფასების კატალოგში გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში შევა ძალაში“, – წერია პრემიერ-მინისტრის დადგენილებაში.

ირაკლი ღარიბაშვილის ამ გადაწყვეტილებას ფარმაცევტული პროდუქტების რეფერენტული ფასების ჩამონათვალის დამტკიცება უძღოდა წინ. მანამდე კი, უფრო ზუსტად, ერთი წლის წინ, იგივე პრემიერის გადაწყვეტილება, საქართველოში იაფი თურქული მედიკამენტების შემოტანის შესახებ. მას შემდეგ, რაც ქვეყნის ფარმაცევტულ ბაზარზე თურქული მედიკამენტები გამოჩნდა, მოსახლეობამ შვებით ამოისუნთქა. წარმოიდგინეთ, წამლები, რომლებსაც 300 და 400%-ით ძვირად ყიდულობდნენ, შეეძლოთ, გაცილებით იაფად, ხელმისაწვდომ ფასად შეეძინათ.

ამის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ფარმაცევტული პროდუქტების რეფერენტული ფასები, რომელთა ჩამონათვალი ჯანდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა. რეფერენტული ფასი, პირველ ეტაპზე, 1 300-ზე მეტ ქრონიკულ და ონკოლოგიურ მედიკამენტზე დააწესეს, თუმცა ეტაპობრივად, სხვა მედიკამენტებზეც უნდა განსაზღვრულიყო. ზღვრული მაქსიმალური ფასები საბითუმო და საცალო რეალიზაციის დონეზე დაწესდა.

ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებდნენ, რომ ფარმაცევტული კომპანიები, განსაზღვრულ ფასზე ძვირად, მედიკამენტებს 15 თებერვლიდან ვეღარ გაყიდდნენ. უწყების განცხადებით, წამლებზე ზღვრული მაქსიმალური ფასები საბითუმო და საცალო რეალიზაციის დონეზე დაწესდა. შეგახსენებთ, რომ საცალო ქსელში მედიკამენტების ზღვრული მაქსიმალური ფასი შემდეგი წესით დაიანგარიშეს:

თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 5 ლარამდეა, მას ემატება 40%-იანი დარიცხვა;

თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 5-დან 10 ლარამდეა, ემატება 35%-იანი დარიცხვა;

თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 10-დან 20 ლარამდეა, ემატება 30%-იანი დარიცხვა;

თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 20-დან 30 ლარამდეა, ემატება 25%-იანი დარიცხვა;

თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 30-დან 50 ლარამდე, ემატება 20%-იანი დარიცხვა;

თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 50-დან 100 ლარამდეა, ემატება 15%-იანი დარიცხვა;

თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 100 ლარი ან მეტია, მაშინ რეფერენტულ საბითუმო ფასს სტანდარტულად ემატება მაქსიმუმ 20 ლარი.

რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა აჭარის რეგიონში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აჭარის მუნიციპალიტეტებით დაინტერესდა. 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის დასკვნები, რომლებიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, სათითაოდ ეხება შუახევის, ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს. ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო მაკონტროლებლებმა აჭარის რეგიონში – „ვერსია“ სამივე მუნიციპალიტეტის აუდიტის დასკვნებს გთავაზობთ.

სერიოზული ფინანსური შეცდომები შუახევის, ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში

დარღვევები შუახევის მუნიციპალიტეტში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ შუახევის მუნიციპალიტეტს სერიოზული პრობლემა აქვს ფინანსური რესურსების მართვაში და ხარვეზებიც ამ მიმართულებით გამოვლინდა. კერძოდ, 2020-2021 წლებში, შუახევის მუნიციპალიტეტს აუთვისებელი დარჩა 5 670 528 ლარის საბიუჯეტო რესურსი, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელების ხარვეზებსა და საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან მართვაზე მიუთითებს. გარდა ამისა, ხარვეზები გამოვლინდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავის ხარჯებშიც:

„საწვავის დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დადასტურებას, რის გამოც 2020-2021 წლებში, ჯამში – 95 385 ლარის ღირებულების საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვა არ დასტურდება; ასევე, დაურეგულირებულია მუნიციპალური ავტოპარკის მართვასთან დაკავშირებული საკითხები. რაც შეეხება აქტივების მართვაში არსებულ ხარვეზებს, შუახევის მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ბალანსზე რიცხული 46 016 553 ლარის ღირებულების აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, ხოლო 32 210 639 ლარის ქონებას საინვენტარო ნომრები არ აქვს მინიჭებული. აღნიშნული გარემოება ზრდის აქტივების დაუცველობასთან დაკავშირებულ რისკებს“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო აუდიტორებმა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო შესყიდვებშიც, კერძოდ, მშენებლობა-რეაბილიტაციაში. აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ შუახევის მუნიციპალიტეტში არსებულმა კონტროლის სისტემამ, რიგ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე არსებული ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა; არ არის შეფასებული ექსპერტიზის დასკვნაში ასახული კვლევის შედეგების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა; მხოლოდ ხილულ სამუშაოებზე განხორციელებული აზომვების გამო, სახელმწიფო აუდიტორები ვერ დარწმუნდნენ 282 996 ლარის ღირებულების ფარული სამუშაოების ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებაზე. ხარვეზები გამოვლინდა პრეტენდენტთა გამარჯვებულად გამოვლენაშიც:

„შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ, რიგ შემთხვევაში, არაერთგვაროვანი მიდგომით განახორციელა სახელმწიფო შესყიდვა, გამარჯვებულის გამოვლენა და პრეტენდენტთა დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაცია, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არაჯეროვნად შესრულებისათვის, მიმწოდებლებისთვის არ დაუკისრებია არანაკლებ 84 194 ლარის საჯარიმო სანქცია. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, პროგრამების განსახორციელებლად, სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე, მიმწოდებლებს გადაუხადა გადაყვანის მომსახურების ღირებულება, ჯამში – 93 299 ლარის ოდენობით“.

რაც შეეხება შრომის ანაზღაურებაში არსებულ ხარვეზებს, სახელმწიფო აუდიტის დასკვნის მიხედვით ირკვევა, რომ შუახევის მუნიციპალიტეტი, სრულფასოვნად არ იყენებს სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემას. ამასთან, რვა პირი, რომელთა ანაზღაურებამ 2020-2021 წლებში შეადგინა 78 782 ლარი, შეთავსებით, ერთდროულად დასაქმებულია სხვა უწყებაში და მათ მიერ სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება.

საბოლოო ჯამში, გაირკვა, რომ სერიოზული პრობლემაა შუახევის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემებშიც, რაც სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობისა და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას.

დარღვევები ქედის მუნიციპალიტეტში

სახელმწიფო აუდიტორების მიერ, ქედის მუნიციპალიტეტში არსებული დარღვევები ბიუჯეტის შესრულების განხილვით დავიწყოთ. ირკვევა, რომ 2020-2021 წლებში, ქედის მუნიციპალიტეტს აუთვისებელი დარჩა 2 390 817 ლარის საბიუჯეტო რესურსი, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელების ხარვეზებსა და საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან მართვაზე მიუთითებს.

რა თქმა უნდა, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა დარღვევები გამოავლინეს შრომის ანაზღაურებაშიც:

„შიდა კონტროლის მექანიზმების არარსებობის შედეგად, მუნიციპალურ საწარმოს შესაძლებლობა მიეცა არამიზნობრივად განეკარგა საბიუჯეტო სახსრები. მხოლოდ 2020-2022 წლებში, საწარმოს დირექტორისა და ბუღალტრის თანამდებობებზე ხელფასის სახით, თვეში რამდენიმე ტრანზაქციის საშუალებით, გაცემულია განსაზღვრულზე მეტი თანხა, ჯამში, არანაკლებ – 62 364 ლარი. გარდა აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებებით არ არის განსაზღვრული დასაქმებულთა კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობები, არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა, ხოლო შრომის ანაზღაურებიდან საშვებულებოს სახით, ზედმეტადაა გაცემული 3 476 ლარი“.

სახელმწიფო შესყიდვებში არსებული დარღვევები იმდენად ღრმა და სერიოზული პრობლემაა, რომ რა გასაკვირია, ქედის მუნიციპალიტეტშიც აღმოჩენილიყო.

დასასრული მე-15 გვერდზე

სამართალი

№7 1 მარტი 2023 წ

ქართველების ბანდა, რომელმაც ბელარუსელ სამართალდამცავებს სისხლი გაუშრო

რა შეცდომა დაუშვეს ქართველმა კრიმინალებმა – საგამოძიებო საქმის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთსა და ბელარუსში, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ისე ვერ მუშაობენ, როგორც დასავლურ ქვეყნებში. იმასაც ამბობენ, რომ რუს და ბელარუს ძალოვნებს ძველი, საბჭოთა მენტალიტეტი აქვთ შერჩენილი და ფულით ნებისმიერი საქმის „გაიმასქნება“ შეიძლება. რეალურად, ორივე ქვეყანაში უშიშროების სამსახურები უფრო გამართულად მუშაობენ, ვიდრე – პოლიცია თუ მილიცია, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, ისინიც იჩენენ საჭირო ფხას და ერთი შეხედვით, რთულ საქმეებს მარტივად ხსნიან.

დანაშაული, რომელზეც ახლა გიამბობთ, ბელარუსში მოხდა. როგორც გვეუბნებიან, მინსკში, პირველი მაისის რაი-განყოფილებაში, მუშაობს ახალგაზრდა, 35 წლის გამომძიებელი ქალი, ალესია სტრეჩენი, რომელიც ბელარუსულ სამძებრო სისტემაში ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. მასზე ამბობენ, რომ ზედმეტად განვითარებული ინტუიცია აქვს და მასთან მორიგება შეუძლებელია – მისთვის იდეალური დამნაშავე გისოსებს მიღმა ზის. სწორედ სტრეჩენს მისცეს ერთი შეხედვით, უიმედო საქმე, რომელიც ბინების ქურდობას ეხებოდა. მინსკში პრესტიჟულ უბანში ბინები იქურდებოდა და ქურდები ძალიან თავხედურად მუშაობდნენ. იმის მიუხედავად, რომ ყველა სადარბაზოს შესასვლელთან ვიდეოთვალი იყო დამონტაჟებული და ზოგადად, ქუჩაც არაერთი კამერით იყო აღჭურვილი, დამნაშავეები ქუდებს იფარებდნენ, სახეებს მალავდნენ, ბინების ძვირადღირებულ საკეტებს აღებდნენ და მიჰქონდათ ყველაფერილ, რისი წაღებაც შეიძლებოდა – ძვირფასეულობისა და ფულიდან დაწყებული, ჭურჭლითა და თეთრეულით დამთავრებული. ბინებს დამნაშავეები რამდენიმე სავსე ჩანთით ტოვებდნენ, ორ-სამ რეისს ასრულებდნენ, სანამ ტვირთს იქვე გაჩერებულ ავტომობილში ჩატვირთავდნენ, შემდეგ კი ქრებოდნენ. ავტომობილის მონახვა მარტივი იყო – ორ-სამ დღეში ისეთ ადგილზე პოულობდნენ, სადაც კამერები არ გახლდათ დაყენებული, პოულობდნენ მანქანების მფლობელებსაც, თუმცა ისინი მხრებს იჩეჩდნენ და ამბობდნენ, რომ ავტომობილი კავკასიელებმა დაიქირავეს, ორმაგი ან სამმაგი გადაუხადეს, ერთი დღის სანაცვლოდ და შემდეგ გაქრნენ. კავკასიელთა აღწერისას, მუდმივად სხვადასხვა აღნაგობის ადამიანებს უთითებდნენ, რამაც გამოძიებას მისცა დასკვნის გაკეთების საშუალება – დამნაშავეთა ჯგუფი, ყველაზე ცოტა, სამი კაცისგან შედგებოდა და ამას გარდა, ისინი კარგად ინიღბებოდნენ, წვერს იწებებდნენ, პარიკს იკეთებდნენ... თუმცა, სად მიდიოდა ეს ნაქურდალი, ვერავინ ხვდებოდა.

ბელარუსის არცერთ ლომბარდსა თუ გადამყიდველთან ეს ნივთები, უბრალოდ, არ ხვდებოდა.

„იმას, რომ საქმე კავკასიელებთან გვქონდა, პირველივე ბინის ქურდობის შემდეგ მივხვდი. მხოლოდ კავკასიელებმა იციან სახლების ასე გასუფთავება, ადგილობრივები მხოლოდ ძვირფასეულობაზე ნადირობენ, კავკასიელები კი ყველაფერზე, რის წაღებასაც მოახერხებენ“, – იტყვის მოგვიანებით სტრეჩენი.

გამომძიებლების გაოცებასა თუ გაცოფებას ისიც იწვევდა, რომ ბინის ქურდები მობილურ ტელეფონებსაც აქტიურად იყენებდნენ. ეს ნომრები ირთვებოდა უშუალოდ ბინის ქურდობის წინ, ითიშებოდა მას შემდეგ, რაც ნაქურდალს ავტომობილში განათავსებდნენ და მას შემდეგ ნომერი აღარ ირთვებოდა. ყველა სიმბარათი შავ ბაზარზე იყო ნაყიდი და მისი მფლობელები პენსიონერი ქალები ან კაცები იყვნენ.

ბელარუსმა სამართალდამცავებმა მოუხელთებელ ბანდაზე ხელი ჩაიქნიეს, რადგან შეცდომას უბრალოდ არ უშვებდნენ. მას შემდეგ, რაც მანქანას მიატოვებდნენ, იქ ყველაფერი ქიმიური ხსნარით იყო დამუშავებული და თითის ანაბეჭდს ვინ ჩივის, ტანსაცმლის ან თმის მცირე ნაწილაკსაც კი ვერ პოულობდნენ. ვერსია იმის თაობაზე, რომ ბანდა ნაქურდალს ინახავდა და შემდეგ ერთიანად დაიწყებდა მათ გაყიდვას, არადამაჯერებელი იყო, თუმცა ძალოვნებს ჰქონდათ ერთი სერიოზული მინიშნება – რთული საკეტები ისე მარტივად იყო გახსნილი, რომ საქმე აუცილებლად გამოცდილ „მედვეჟატნიკთან“ ჰქონდათ. დაიწყეს გადამოწმება, ხომ არ იყო ვინმე ისეთი, ვინც სასჯელი სწორედ ბინის ქურდობის გამო მოიხადა და გათავისუფლდა? რა თქმა უნდა, ასეთები ნახეს, თუმცა ყველას ალიბი ჰქონდა და რაც მთავარია, მათი აღნაგობა ვიდეოთვალებში მოხვედრილი დამნაშავეების კადრებს არ ემთხვეოდა.

„მილიონში ერთხელ ხდება, რომ დამნაშავეებმა შეცდომა არ დაუშვან და მეც ამ შეცდომას ველოდი, თან იცით, როგორ არის? – შესაძლოა, დამნაშავემ შეცდომა დაუშვას, მაგრამ შენ ეს ვერ შექმჩნიო. ამიტომ, ყველა დეტალს უდიდესი გულისყურით ვაკვირდებოდი. შანსი, რომ მათ რაღაც შეეშლებოდათ, დიდი იყო, რადგან ეს იყო ბანდა და არა – ერთი კაცი. ერთ ადამიანს მარტივად შეუძლია საკუთარი ქმედებების კონტროლი, დანარჩენების კონტროლს კი უნარების გარდა, უმკაცრესი დისციპლინაც სჭირდება. ეს დისციპლინა შინაგანად უნდა გქონდეს, ისე არაფერი გამოვა. მინდოდა დამეჯერებინა, რომ ბანდის მეთაური ვერ მოახერხებდა ყველა წევრის გაკონტროლებას ისე, რომ რომელიმე მათგანს შეცდომა არ დაეშვა“, – ამბობს ალესია სტრეჩენი.

სწორედ გამომძიებლის მითითებით, ყველა სიმბარათი, რომელიც დამნაშავეებმა მანამდე გამოიყენეს, კონტროლზე იყო აყვანილი იმის იმედად, რომ ოდესმე, რომელიმე მათგანი, შესაძლებელი იყო, ჩართულიყო და ეს ძაფის ერთი ბოლო იქნებოდა, თუმცა მყარი ბოლო. იმის 1%-იანი შანსიც კი არ არსებობდა, რომ „დამწვარ“ სიმბარათს დამნაშავეები ისევ გამოიყენებდნენ, თუმცა ერთ დღეს... ერთ-ერთი სიმბარათი ჩაირთო. გამომძიებლებს ეს ამბავი კი გაუხარდათ, მაგრამ ძალიან, ძალიან დიდი იყო ალბათობა, რომ ფიჭურმა კომპანიამ, უბრალოდ, იგივე ნომერი ახლიდან გაყიდა. ლოკაციის მიხედვით, ადგილზე ოპერმუშაკები გავიდნენ და დაადგინეს, რომ ტელეფონით საქართველოს მოქალაქე, ვინმე, ირაკლი თ. (ახლაც და შემდგომშიც, როგორც გამომძიებლის, ისე დანარჩენი მოქმედი პირების სახელები რეალურია) სარგებლობდა. ის მინსკში, ახალგაზრდა ქალთან ცხოვრობდა, ქალს პირველი ქორწინებიდან ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა და ისე ჩანდა, რომ ბავშვებთან ერთად, მამაკაცსაც არჩენდა, რადგან ირაკლი არსად მუშაობდა, თუმცა მდგომარეობის უკეთ შესწავლის შემდეგ, სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ მხოლოდ ქალის ხელფასი არც საკვებისთვის იქნებოდა საკმარისი და არც სხვა რამისთვის ანუ მამაკაცს საიდანღაც შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ საიდან? ის სახლიდან თითქმის არ გადიოდა, მხოლოდ აივანზე გადმოდგებოდა ხოლმე სიგარეტის მოსაწევად. მინსკელმა მაძებრებმა მასზე 24-საათიანი თვალთვალი დააწესეს და ეს იმის მიუხედავად, რომ ოფიციალურად, ირაკლი თ.-ს ბელარუსის ტერიტორიაზე ყოფნის უფლება აღარ ჰქონდა და წესით, მისი დეპორტაცია უნდა მომხდარიყო.

დაახლოებით, ორ კვირაში, ირაკლის სახლში სტუმრები ეწვივნენ. მათი იდენტიფიკაცია მალე მოხდა – საქართველოს მოქალაქეები – ძმები ზურაბ და გიორგი ჭ, მათი ბავშვობის მეგობარი ირაკლი გ. და მისი შორეული ნათესავი – გიორგი ხ. ოთხივე მათგანი ბელარუსში მოსკოვიდან, საზოგადოებრივი ტრანსპორტით ჩავიდა. როგორც მაძებარი ძაღლი დგება ნადირის დანახვაზე ნაბულზე, ისე დადგა მთელი მინსკის პოლიცია ფეხზე. ბინები პრესტიჟულ უბნებში იქურდებოდა, შესაბამისად, მათი მფლობელები გავლენიანი ადამიანები იყვნენ და სამართალდამცავებს უფროსობა ცხრა პირ ტყავს აძრობდა. მეორე დღეს ირაკლი გ.-მ და ზურაბ ჭ.-მ იმავე პრესტიჟული უბნისკენ გაისეირნეს, ორი კორპუსის სადარბაზიში შევიდნენ და იქაურობა მალე დატოვეს. ოპერმუშაკები მიხვდნენ, რომ ისინი მორიგი საქმისთვის ემზადებოდნენ. თვალთვალში ქალი პოლიციელებიც ჩაერთვნენ, რადგან გაჩნდა ეჭვი, რომ დამნაშავეებს, შესაძლოა, მამაკაცები საეჭვოდ მოჩვენებოდათ. მეორე დღეს, ხუთეული საქმეზე წავიდა. სადარბაზოში სამნი შევიდნენ, ორი მანქანასთან დარჩა. დაახლოებით, ერთ საათში, მანქანა სადარბაზოსთან მიაყენეს და შიგნთ რვა ჩანთა ჩადეს. სამეულმა წასვლა ფეხით დააპირა, ორი კი ავტომობილში ჩაჯდა და აყვანის სპეცოპერაციაც დაიწყო. ხუთი ქართველი ბელარუსის ყველაზე ელიტური სპეცრაზმის წევრებმა აიყვანეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბანდის მეთაური ირაკლი გ. გახლდათ, რომელიც ორჯერ იყო ნასამართლევი ბინების ქურდობისთვის, თუმცა ორივეჯერ რუსეთის ფედერაციაში. მან მინსკი მას შემდეგ აირჩია, რაც იქ მეგობარი, ირაკლი თ. დასახლდა. ძმებიც მარტივად დაიყოლია და საქმესაც შეუდგა. საინტერესოა, რომ ის წინასწარ არ არჩევდა ბინებს ანუ არ იცოდა, ვისთან შედიოდა. უბრალოდ, უბანს არჩევდა და სჯეროდა, რომ ყველა ბინაში იქნებოდა რამე, რისი წაღებითაც ხელს მოითბობდა და ერთხელაც არ შემცდარა. ის უბრალოდ ბინის კარზე აკაკუნებდა, შემდეგ ელოდა და აღებდა. საინტერესო იყო ნაქურდალის გასაღების გზაც. საქმიდან წასული კრიმინალები, ავტობუსით (?!) მოსკოვში მიდიოდნენ და ნაქურდალიც ჩვეულებრივად, სამგზავრო ავტობუსით მიჰქონდათ, მოსკოვში კი მარტივად და თამამად ყიდდნენ. ირაკლი თ.-ს მანქანის კონკრეტულ ადგილზე დატოვება და მისი ქიმიური დამუშავება ევალებოდა, საკუთარ წილს ფოსტით უგზავნიდნენ და ისიც ბედნიერად ცხოვრობდა. მაშ, როგორ მოხდა, რომ მას შეეშალა და საქმეზე გამოყენებული სიმბარათი ტელეფონში ჩადო?! როგორც აღმოჩნდა, ის სიმბარათებს ჯიბეში ინახავდა, როცა მანქანას გაასუფთავებდა, შემდეგ კი მდინარე სვისლოჩის ნაპირზე გაისეირნებდა და სიმბარათებს იქ ყრიდა. ჰოდა, ერთ-ერთი ბარათი შარვლის ჯიბეში ჩარჩა, შემდეგ, როდესაც მისმა მეგობარმა ქალმა შარვლის გარეცხვა დააპირა, ბარათს მიაგნო და ქმრის სამუშაო მაგიდის უჯრაში, სხვა ბარათებთან ერთად შეინახა, რაც საბოლოო ჯამში, საბედისწერო გამოდგა.

სასამართლომ ხუთივე ქართველს 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

დაუჯერებელი ამბავი – ბებიაქალს სამშობიაროში ჩვილები შეეშალა

როგორ იპოვეს ბიოლოგიურმა მშობლებმა დაკარგული გოგონები

ბათო ჯაფარიძე

სოციალურ ქსელში არის გვერდი, სადაც ადამიანები ერთმანეთს ეძებენ. ეძებენ ჯარის მეგობრებს, ნაცნობებს, ადამიანებს, ვისთან ერთადაც ისვენებდნენ პიონერთა ბანაკებში თუ სხვადასხვა სანატორიუმში, მაგრამ ძირითადად ეძებენ გაშვილებულ ბავშვებს, ბიოლოგიურ მშობლებს და ბევრი პოულობს, ბევრი – ვერა, თუმცა იმედს არ კარგავენ – ეძებენ, ეძებენ, ეძებენ... სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად იყო, რომ სამშობიარო სახლებიდან ბავშვებს პირდაპირ ყიდდნენ, ოჯახს ეუბნებოდნენ, რომ ჩვილი დაიღუპა, სხვა დაღუპულ ბავშვს ანახებდნენ ბიოლოგიურ მშობლებს, ვინაიდან ყველა ჩვილი ერთმანეთს ჰგავს, ისინიც იჯერებდნენ...

ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, შეიძლება ანალოგი არც ჰქონდეს, ერთი უბრალო მიზეზის გამო – ბავშვი არავის გაუყიდია, ის, უბრალოდ, სხვა ბავშვში აერიათ და ეს ბებიაქალის უნებლიე შეცდომა იყო. იმის გამო, რომ დღეს ამ ბავშვებიდან ერთ-ერთი საქართველოშია, ზრდასრული ადამიანია, გვარები შეცვლილია. ყველაფერი კი ძალიან უცნაურად დაიწყო.

„მეგობარი მყავდა, გოლოშვილი იყო გვარად, კარგი კაცი. მერე, ყველაფერი რომ აირია, რუსეთში წავიდა, იქ დასახლდა ოჯახთან ერთად, 2010 წელს, მისმა შვილმა დამირეკა, მამა დაიღუპაო. ვერ წავედი, არადა, ძალიან მინდოდა უკანასკნელ გზაზე გამეცილებინა. ჰოდა, ეს მეგობარი მოვიდა ერთხელ და ძალიან უცნაური რამ მითხრა – მეორე შვილი ჩემი არ არის, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ არც ჩემი მეუღლისაა, სრულიად უცხო ბავშვია, არადა, რომ დაიბადა, გინეკოლოგი ძმაკაცი იყო, ბლოკში შემიყვანა, ჩემი თვალით ვნახე, რომ გოგონა გაჩნდა, ხელში ავიყვანე, ვაკოცე კიდეც, მერე კი როგორც ხდება ხოლმე, რამდენიმე დღეში გამოგვატანეს და მხოლოდ ახლა გავიგე, რომ ჩვენი არ არის. არეულად ლაპარაკობდა, ძალიან არეულად“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

როგორც გაირკვა, გოგონა ველოსიპედიდან ჩამოვარდა, ფეხი დაიზიანა და სანამ საავადმყოფოში გადაიყვანდნენ, ძალიან ბევრი სისხლი დაკარგა. საავადმყოფოში მისულებს უთხრეს, რომ სისხლის გადასხმა იყო საჭირო, მაგრამ ბავშვს არცერთი მშობლის სისხლი არ გამოადგა. დედ-მამა გაოცებული იყო, მაგრამ მაშინ მთავარი ბავშვის სიცოცხლე გახლდათ, ნახეს ადამიანი, შესაბამისი სისხლის ჯგუფით, გოგონა კი გადარჩა, მაგრამ... ჩაიტარეს ყველანაირი ანალიზი და ექიმის დასკვნა ერთმნიშვნელოვანი იყო – ცოლ-ქმარი ბავშვის ბიოლოგიური მშობლები არ იყვნენ. ეს მათი მეორე შვილი იყო, პირველიც გოგონა ჰყავდათ და ვერ ხვდებოდნენ, ვის და რატომ უნდა დასჭირვებოდა ბავშვის შეცვლა. გასაგებია, ბიჭი რომ ყოფილიყო და გოგოთი შეეცვალათ (მაშინ არც ეს იყო უცხო ხილი), მაგრამ დედ-მამამ ზუსტად იცოდა, რომ გოგონა გაჩნდა, დედამ ხომ დაინახა ბავშვი და მამაც მშობიარობიდან, პრაქტიკულად, სამ-ოთხ წუთში, ბლოკში იყო და პატარას ეფერებოდა. მამაკაცმა იმ ძმაკაცს მიაკითხა, რომელიც იმავე გინეკოლოგიურში მუშაობდა და იმან გაოცებისგან პირი დააღო, რას ამბობ, შენს შვილს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი, ეგებ, ანალიზი შეცდაო. ცოლ-ქმარს მეორე ანალიზიც ჰქონდა გაკეთებული და მესამეც ჩაიტარეს, თუმცა დასკვნა მუდმივად ერთი იყო – ბავშვი მათი შვილი არ იყო.

„რა უნდა მექნა? გადავწყვიტე, არქივები ამომექექა, მაგრამ რადგან საქმე ოფიციალურად არ იყო აღძრული, ჩემი კავშირებითა და იმ გინეკოლოგის დახმარებით დავიწყე ძიება. იმ დღეს, აღნიშნულ სამშობიაროში 12 ბავშვი დაიბადა, აქედან შვიდი გოგონა იყო ანუ თუ შეცვალეს, იმ ექვსი გოგონადან, ერთ-ერთი უნდა შეეცვალათ. ჩავხედე მშობლების მონაცემებს და ერთ-ერთი გოგონას დედა გვარად გულოშვილი იყო ანუ სხვაობა მხოლოდ ერთი ასო იყო მასსა და ჩემი მეგობრის გვარს შორის. ორივე გოგონა ლამის ერთდროულად, ათწუთიანი ინტერვალით გაჩნდა. საჭირო გახდა ამ ქალის მოძებნა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ძებნა არცთუ მარტივი გამოდგა, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. საქმე ის გახლდათ, რომ ქალი ბავშვის გაჩენის დროს გათხოვილი იყო, ხოლო როცა ძებნა დაიწყეს, ქმარს დაშორებული და ძალიან დიდი იყო ალბათობა, მეორედ გათხოვილიყო, ან უბრალოდ, გვარი გამოეცვალა. რეგისტრაციის მისამართზე მისულ თანამშრომლებს უთხრეს, რომ ის აღნიშნულ ბინაში უკვე 12 წელი იყო, რაც არ ცხოვრობდა და სად წავიდა ბავშვთან ერთად, არავინ იცოდა. ქალს ჩააკითხეს მშობლიურ სოფელში, მაგრამ მშობლები გარდაცვლილი ჰყავდა, მამა-პაპისეული სახლი გაყიდული იყო და სოფელშიც მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. დედა-შვილი თითქოს ცამ ჩაყლაპა, მათი ყველანაირი კვალი დაკარგული იყო. სამაგიეროდ, ბავშვის მამა მოიძებნა ძალიან იოლად, თუმცა შედეგი არც ამას მოჰყოლია – კაცმა თქვა, ოჯახი კარგა ხნის წინ მივატოვე, მეუღლემ ვერ გამიგო და მათთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი მაქვსო.

შეგრძნება, რომ შენი შვილი სადღაც აქ არის, ახლოს, მაგრამ არ იცი და ვერ პოულობ, ძალიან, ძალიან რთულია. ამიტომ, ბავშვის მამამ ყველა და ყველაფერი გადადო და შვილის ძებნას შეუდგა. ის ხვდებოდა ქალის ნაცნობებს, მეგობრებს და ეძებდა რაღაც კვალს მაინც, რომელიც შვილამდე მიიყვანდა. კვალი მართლაც გამოჩნდა – ვიღაც ქალმა უთხრა, ბავშვის გაზრდა უჭირდა, ამიტომ როცა აჭარიდან, საკმაოდ ასაკოვანმა კაცმა ცოლობა შესთავაზა, დაუფიქრებლად დათანხმდა და მას გაჰყვა სოფლადო. ძებნა აჭარის რეგიონში გაგრძელდა და...

„იქაური სამართალდამცავები ძალიან დამეხმარნენ, ყველაფერი გააკეთეს, რომ გვეპოვა ის, ვისაც ვეძებდით და მართლაც, ვიპოვეთ. მეგობართან ერთად ჩავედი, რა თქმა უნდა, ჯერ ბავშვს არაფერი ვუთხარით და მხოლოდ ქალს ვესაუბრეთ. ძალიან, ძალიან ყურადღებით მოგვისმინა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ქალს ქმარი უკვე გარდაცვლილი ჰყავდა, სოფლის მეურნეობას მარტო უძღვებოდა, არ უჭირდა, მაგრამ არც თავზე გადასდიოდა და ცდილობდა, გოგონას არაფერი დაჰკლებოდა. როცა ჩასულების მონათხრობი მოისმინა, ჩაფიქრდა, მერე თავი გადააქნია და მტკიცედ თქვა – „შეიძლება, ყველაფერი ეს მართალია, შეიძლება, ანალიზმა აჩვენოს, რომ ამ ბავშვის ბიოლოგიური დედა არ ვარ და ჩემს შვილს თქვენ ზრდით, მე კი პირიქით – თქვენსას, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. სწორედ ეს გოგოა ჩემი შვილი, ის კი თქვენი და მოდით, არაფერი შევცვალოთ, დავივიწყოთ ყველაფერი, როგორც სიზმარი“...

ასეთ პასუხს მისგან არც ბავშვის მამა ელოდა, არც – გამომძიებელი. ის ბავშვს მაინც შეხვდა, კარგა ხანს ათვალიერა და პრინციპში, დიდი დასათვალიერებელი არაფერი იყო – გოგონა ბიოლოგიურ მამას გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა და მასავით, როცა იღიმოდა, მარცხენა ლოყაზე ღრმული უჩნდებოდა. მამაკაცს გოგონასთვის არაფერი უთქვამს, თუმცა როცა ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ, ბავშვმა გაიღიმა და ჩუმად ჩაილაპარაკა, რატომ მგონია, რომ ამ კაცს მთელი ცხოვრება ვიცნობო...

„საქმე ძალიან რთულად იყო. ჩემი მეგობარი მზად გახლდათ, ბავშვი წამოეყვანა, მაგრამ კატეგორიულად გამორიცხავდა თავისი გაზრდილი გოგონას მიცემას ბიოლოგიური დედისთვის, როგორ უნდა მივცე, შვილივით მიყვარს, გამორიცხულიაო. ამ ლოგიკით გამოდიოდა, რომ ის ქალი საერთოდ ბავშვის გარეშე რჩებოდა, რაც წამოუდგენელი იყო. ამიტომ, კონსულტაცია მეგობარ ადვოკატსა და მოსამართლესთან გავიარეთ, თუმცა საიმედო მათაც ვერაფერი თქვეს – ან ბავშვები უნდა გაეცვალათ, ან ყველაფერი ისე დარჩენილიყო, როგორც იყო. ორივე ბავშვის ერთ ოჯახში დარჩენას სასამართლო, უბრალოდ, არ დაუშვებდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ ბავშვებმა სიმართლე გაიგეს. გოგონამ, რომელიც სოფლად ცხოვრობდა, ქალაქში გადასვლა და ბიოლოგიურ მშობლებთან დარჩენა მოისურვა, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ აჭარაში წასვლა არც მეორე ბავშვს სურდა. გამოსავალი თითქოს არ ჩანდა, თუმცა მოულოდნელად, მამაკაცმა რუსეთიდან შეთავაზება მიიღო, კარგ სამსახურს სთავაზობდნენ და ის რუსეთში ცოლ-შვილთან, მისი შვილის გამზრდელ დედასა და გოგონასთან ერთად წავიდა ანუ წაიყვანა ყველა და მოსკოვიდან 250 კილომეტრში, საკუთარ სახლში დასახლდა.

„თავიდან ერთმანეთს ხშირად ვეხმიანებოდით, ჩემი მეგობარი უკმაყოფილო იყო, რომ მის შვილს, რომელიც წვალებით იპოვა, ზედმეტად მაღალი მოთხოვნები ჰქონდა, მთელი ცხოვრება გაჭირვებაში რომ ვიცხოვრე, ახლა ყველაზე მეტი ყურადღება მე უნდა მომაქციოთ, ყველაზე მეტად მე უნდა მომეფეროთო. ნამდვილმა დედამ ვერაფრით შეძლო მის მიერ გაზრდილ გოგონაზე მეტად შეეყვარებინა საკუთარი შვილი და ცხოვრობდნენ ასე, არეულ-დარეულად. მერე, როცა ჩემი მეგობარი გარდაიცვალა, მოვიკითხე ამბავი და ოჯახი, პრაქტიკულად, არეული იყო, ყველა თავისკენ ექაჩებოდა“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

ბათო ჯაფარიძე

ადამიანების ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. ფულის შოვნისთვის, შესაძლოა, ისეთი რამ მოიფიქროს, სხვებს აზრადაც რომ არასდროს მოუვათ. არსებობენ ადმიანები, რომლებიც ფულის გამო, ყველაფერზე არიან წამსვლელნი და მზად არიან, გაწირონ ყველა, ოღონდ სანუკვარ მიზანს მიაღწიონ. სამწუხაროდ, ასეთი წამოწყებები ბოლომდე კარგად იშვიათად, ან პრაქტიკულად, არასდროს სრულდება, მაგრამ ყოველთვის გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ სხვებზე ჭკვიანები არიან და თუ სხვა ჩავარდა, ისინი არ ჩავარდებიან.

ვინ იყო ქალი, რომელიც 12 წლის შვილით მამაკაცებს აშანტაჟებდა

მოზარდის „პიჟამაზე“ აღმოჩენილი სპერმის კვალი – ექსპერტიზის შოკისმომგვრელი დასკვნა

„განყოფილების ფანჯრიდან მაისის შხაპუნა წვიმას ვუყურებდი, როცა ვიღაც კაცი შემოვარდა და თან მორიგე შემოჰყვა. ეს კაცი ყვიროდა, დროზე უშველეთ, ბავშვი მოიტაცესო. მორიგე ბოდიშობდა, ვერ გავაჩერე, მოვარდა, არავის მოუსმინა, აქეთ-იქეთ დარბის, ყველა ოთახში შედის და ამტკიცებს, ვიღაც მოიტაცესო. რა თქმა უნდა, მოსული სკამზე დავსვი და ვთხოვე, დალაგებულად მოეყოლა, რა მოხდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მამაკაცმა თქვა, რომ აივანზე სიგარეტს ეწეოდა, როცა დაინახა, როგორ გაჩერდა ფეხით მომავალი პატარა გოგონას გვერდით შავი ფერის ავტომობილი, როგორ გადმოხტა იქიდან ვიღაც ნიღბიანი, როგორ ააფარა ბავშვს პირზე ხელი, როგორ ჩატენა მანქანაში და როგორ გაქრა მალევე. მოსულმა ავტომობილის მარკა ვერ დაასახელა, ზემოდან ვერ გავარჩიე, მაგრამ შავი ფერის ნამდვილად იყოო. მან ვერც გოგონა იცნო, მაგრამ ამბობდა, ეგ ბავშვი ადრეც მყავს ნანახი, ასე, 12-13 წლის იქნება და ყველა ვარიანტში, ჩვენს უბანში ცხოვრობსო.

როცა საქმე ბავშვს ეხებოდა, ძალოვნები არ ელოდნენ ადამიანის დაკარგულად გამოცხადებისთვის საჭირო 72 საათისა გასვლას და დაუყოვნებლივ ძებნას იწყებდნენ. ასე მოხდა ამჯერადაც, შემთხვევის ადგილზე ოპერჯგუფი მალე გავიდა, მაგრამ საინტერესო ის იყო, რომ არცერთ მეზობელს არაფერი დაუნახავს და გაუგონია. განყოფილებაში მისული მამაკაცი კი ამტკიცებდა, რომ არ დამენახა, მეც ვერაფერს გავიგებდი, ყველაფერი წამებში და ჩუმად მოხდაო. ყველაფერმა ამან სამართალდამცავები დააეჭვა, რამდენად ამბობდა სიმართლეს მოსული, თუმცა საღამოს ყველაფერი დალაგდა – განყოფილებაში ახალგაზრდა კაცი მივიდა და განაცხადა, რომ ცოლი და შვილი დაკარგა. უფრო ზუსტად კი, ბავშვი სკოლიდან არ დაბრუნდა, ცოლი – სამსახურიდან და როცა ბავშვის ფოტო იმ მამაკაცს ანახეს, რომელიც დილით შევარდა პოლიციაში, ყვირილი ატეხა, სწორედ ეს გოგო მოიტაცესო.

„ეს გოგონა ჩემი გერია, მართალია, მის დედასთან ოფიციალურ ქორწინებაში არ ვარ, მაგრამ ცოლ-ქმრად ვითვლებით. 7 წლიდან, ბავშვს ერთად ვზრდით, შვილივით მიყვარს და წარმოდგენაც არ მაქვს, ვინ შეიძლება გვმტრობდეს. არ გვიჭირს, მაგრამ არ გვაქვს ისეთი შემოსავალი, გამოსასყიდი მოითხოვონ“, – გაოცებით ამბობდა მამაკაცი.

გოგონა 12 წლის იყო, ურიგოდ არ სწავლობდა, ტანვარჯიშზე დადიოდა და ძალიან კარგი შედეგები ჰქონდა. ბავშვებში ჩატარებული, პრაქტიკულად, ყველა შეჯიბრიდან მედალი მოჰქონდა. მამინაცვალმა თქვა, ჩემი ცოლი რუსია და სავარაუდოდ, გენები თავისას შვრება, ჩემი ცოლიც ახალგაზრდობაში ტანმოვარჯიშე იყოო. სკოლაში მასწავლებლებმა მხრები აიჩეჩეს, ბავშვისთვის არც ნერვიულობა შეუმჩნევიათ, არც ისეთი რამ, რასაც შეიძლებოდა, ეჭვი გამოეწვია. გაოცებული იყვნენ ქალის სამსახურშიც, ის დილით ჩვეულებრივ მივიდა სამსახურში, შუადღისას სადილისთვის გავიდა და აღარ დაბრუნებულა. სამართალდამცავებმა ძებნა, როგორც შვილზე, ისე დედაზე გამოაცხადეს. გამოირიცხა ვერსია, რომ ბავშვი შეიძლებოდა ბიოლოგიურ მამას მოეტაცებინა, რადგან ის გარდაცვლილი იყო, ავარიის შედეგად (რომელშიც ქალიცა და ბავშვიც მოჰყვნენ) გარდაიცვალა. შემდეგ ქალი ორი წელი გლოვობდა ქმარს, მერე კი იმ კაცთან დაიწყო ცხოვრება, რომელიც შეუყვარდა და წყვილს ყველა დადებითად ახასიათებდა – ჩუმი, წყნარი, მოსიყვარულე ოჯახი. რადგან გამოძიებას არ ჰქონდა ინფორმაცია და ეჭვი, ვის შეიძლებოდა მოეტაცებინა, პროფილაქტიკის მიზნით, გატაცებულების ბინის ჩხრეკა გადაწყდა. ეგებ, იქ ენახათ რამე ისეთი, რასაც ჩაეჭიდებოდნენ და დამნაშავის კვალს დაადგებოდნენ. სახლის ჩხრეკის წინააღმდეგი არც ბავშვის მამინაცვალი ყოფილა, თქვენ ოღონდ ცოლ-შვილი მიპოვეთ და თუ გნებავთ, სახლს საცხოვრებლად დაგითმობთო. ჩხრეკამ თითქოს ვერაფერი მოიტანა, მაგრამ ოპერმუშაკები ერთმა დეტალმა დააინტერესა – ბავშვის ყველა ნივთი მის ოთახში იყო შენახული, სათამაშოებიდან დაწყებული, ტანსაცმლით დამთავრებული, მხოლოდ ორი ცალი „პიჟამა“ იყო მშობლების ოთახში, დედის თეთრეულის უჯრაში საგულდაგულოდ, ცელოფანში შენახული. მამაკაცმა გაიოცა, ეს უჯრა არასდროს გამომიღია, ცოლის თეთრეულთან რა საქმე მაქვსო და ბავშვის საღამურები ექსპერტიზაზე წაიღეს.

„ექსპერტიზის დასკვნა შოკისმომგვრელი იყო – ორივე საღამური სპერმით იყო დასვრილი. როცა ეს მამინაცვალმა გაიგო, გაოცებისგან ენა ჩაუვარდა, ხოლო როცა მას ანალიზის აღება დავუპირეთ, დასაბმელი გახდა, თქვენ ხომ არ გაგიჟდით, ჯერ 12 წლის ბავშვისკენ როგორ გავიხედავდი და მეორეც, ის ბავშვი შვილივით მიყვარს, შვილია ჩემი, ამას როგორ კადრულობთო. რა თქმა უნდა, ექსპერტიზა მაინც ჩატარდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ბავშვის საღამურზე არსებულ სპერმასთან მამინაცვალს კავშირი არ ჰქონდა და ამის გამო, კაცი უფრო გაბრაზდა, როგორ მაკადრეთ, თავში როგორ გაივლეთ, რომ 12 წლის ბავშვთან რამე კონტაქტი მექნებოდა, მით უმეტეს, შვილივით მყავსო. ძალოვნები კი უკვე სხვა ვერსიებს ამუშავებდნენ. გამტაცებლებისგან არაფერი ისმოდა და... ქალის საბანკო ანგარიშის შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ ბანკის შემნახველ წიგნაკზე, დაახლოებით, 20 ათასი დოლარის ეკვივალენტს ფლობდა. ეს მაშინ ძალიან დიდი თანხა იყო და მისი მეუღლე კიდევ ერთხელ გაოცდა – წარმოდგენა არ მაქვს, საიდან ასეთი დანაზოგი, კიდევ გავიმეორებ, არ გვიჭირდა, მაგრამ იმდენი ნამდვილად არ გვქონდა, 20-ათასიანი დანაზოგი გაგვეკეთებინაო. გამოდიოდა, რომ ქალს სხვა შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ საიდან?

ამასობაში, რუსთავში, მტკვარმა ქალის სხეული გამორიყა. მას დანით 4 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული და მამაკაცმა ცოლი ამოიცნო. ის გვამის დანახვისთანავე მწარედ აქვითინდა და ისიც კი თქვა, ალბათ, შვილიც მომიკლესო. ეჭვი იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იყო ბავშვიც მოეკლათ და მტკვარში გადაეგდოთ, სამართალდამცავებსაც გაუჩნდათ. ყველაფერი ეს შურისძიებას ჰგავდა და ახლა გამომძიებლებმა კაცის გარემოცვის შესწავლა დაიწყეს, თუმცა ისეთს ვერავის მიაგნეს, ასეთი სასტიკი შურისძიება რომ დაეგეგმა. ქალის გვამის პოვნიდან, თითქმის ორი დღე იყო გასული, როცა მცხეთის გზაზე, გამვლელებმა ბავშვი იპოვეს, რომელიც გზაზე იდგა და ხელს იქნევდა. ის განყოფილებაში მიიყვანეს და მალევე გაირკვა, რომ გოგონა სწორედ მოტაცებული ბავშვი იყო. მან პირველი დაკითხვისას მხოლოდ ის თქვა, არ ვიცი, ვინ წამიყვანა, სახე არ დამინახავს, დღეს თვალები ამიხვიეს, მანქანაში ჩამტენეს, მერე ჩამომსვეს და მითხრეს, სახვევი 10 წუთის შემდეგ მოიხსენიო. ის ასეც მოიქცა და აღმოაჩინა, რომ სადღაც გზაზე იყო მიტოვებული. მერე მანქანას ხელი დაუქნია და...

მამინაცვლის პროტესტის მიუხედავად, გოგონა არ გაატანეს. ის ჯერ ექსპერტიზაზე გადაიყვანეს (მასზე ძალადობა არ იყო განხორციელებული, არც ადრე და არც იმ მომენტისთვის) და შემდეგ გოგონა ერთ-ერთ ფსიქოლოგს გააყოლეს შინ. სწორედ ამ ფსიქოლოგს უნდა აელაპარაკებინა ბავშვი, რომელმაც არ იცოდა, რომ დედა მოუკლეს და ეგებ, ისეთი რამ ეთქვა, რასაც გამოძიება ჩაეჭიდებოდა. ასეთმა მიდგომამ გაამართლა.

„როცა შეჯიბრებებზე მივდიოდით, მე და დედიკო სხვა ქალაქში ორი-სამი დღით ადრე ჩავდიოდით, სასტუმროში ვჩერდებოდით და ამას იმიტომ ვაკეთებდით, რომ შეჯიბრზე დასვენებული გავსულიყავი. ერთი თამაში გვქონდა, ჩასვლიდან მეორე დღეს, ვიღაც კაცთან ერთად, რომელიც დედიკოს მეგობარი იყო, სასტუმროში უნდა გამესეირნა, მერე კი ჩემთვის ცალკე ნაქირავებ ნომერში შევდიოდი და იქ ძალიან ბევრი სათამაშო მხვდებოდა“, – არეულად მოყვა ბავშვმა, მაგრამ ეს საკმარისი იყო. გამომძიებლებმა ყველა სასტუმროს პერსონალი დაკითხეს, სადაც დედა-შვილი ჩერდებოდა.

„ბევრი რომ არ გავაგრძელო, ორთვიანი ძებნის შემდეგ, ერთ-ერთი მამაკაცი ვიპოვეთ. მან გვითხრა, რომ რუსი ქალი ურთიერთობას სთავაზობდა, შემდეგ სასტუმროში ეპატიჟებოდა, თუმცა შვილს რომ არ ენერვიულა, ცოტა ხნით, მამაკაცს მასთან ერთად უნდა ესეირნა. მერე გოგონა ქალის მიერ ნაქირავებ მეორე ნომერში შეჰყავდათ, თავად ცალკე ნომერში შედიოდნენ და ერთობოდნენ. მომხდარიდან მეორე დღეს კი ქალი დაადგა, ბავშვის „პიჟამა“ დაუდო წინ და უთხრა, რომ მასზე მამაკაცის სპერმა იყო, რომ ის შვილს ათქმევინებდა, როგორც ცდილობდა კაცი მასზე ძალადობას, როგორ რყვნიდა ბავშვს და სასტუმროს პერსონალიც დაადასტურებდა, რომ მამაკაცი გოგონას ხელჩაკიდებული დაჰყვებოდა. ასე გამოსძალა რამდენიმე ადამიანს ფული და როგორც ჩანს, ერთ-ერთმა ვერ ან არ გადაიხადა და ქალი, უბრალოდ, მოკლა“,– გვიყვება ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა რვათვიანი მუშაობის შემდეგ, ექვსი დაზარალებული მამაკაცი იპოვეს, რომლებმაც აღიარეს, რომ ფული გადაიხადეს, რათა ამბავი არ გახმაურებულიყო და არაფრის გამო, შარში არ გახვეულიყვნენ. გამოძიებამ მკვლელი ვერ იპოვა, ხოლო როცა მამინაცვალმა გაიგო, რით იყო დაკავებული მისი მეუღლე, ბავშვზე უარი თქვა და ის ბიოლოგიური მამის ძმამ წაიყვანა გასაზრდელად.

პოლიციამ თბილისში ძალადობით ჩადენილი ძარცვის ბრალდებით, ოთხი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული მოქმედებებისა და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ძალადობით ჩადენილი ძარცვის ბრალდებით, თბილისში ოთხი პირი: 1994 წელს დაბადებული ბ.კ., 1985 წელს დაბადებული მ.ღ., 1986 წელს დაბადებული მ.მ. და 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ა. ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაული 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, 1982 წელს დაბადებულ დ.კ.-ს თბილისში, მდებარე ერთ-ერთ ბარში, ამავე ობიექტის თანამშრომლები, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, შეკვეთისთვის შეუსაბამო თანხის გადახდას სთხოვდნენ, რაზეც დ.კ.-მ უარი განაცხადა. ამის გამო, ბარის ოთხმა წარმომადგენელმა მას ძალის გამოყენებით წაართვა თანხა და პირადი ნივთები.

სამართალდამცველებმა ოთხივე პირი ცხელ კვალზე, ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ძალადობით ჩადენილ ძარცვას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

შსს-ს მომსახურების სააგენტოს სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სომხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ამბარიანი და საგზაო პოლიციის უფროსის მოადგილე არარატ ტევოსიანი ეწვივნენ.

მომსახურების სააგენტოში სტუმრებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზმა, მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ბესიკ ტეფნაძემ და სააგენტოს სხვა ხელმძღვანელმა პირებმა უმასპინძლეს.

მხარეებმა საქართველოსა და სომხეთის სამართალდამცავ უწყებებს შორის, ორმხრივი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

სომხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და საგზაო პოლიციის უფროსის მოადგილე ადგილზე გაეცნენ მომსახურების სააგენტოს მუშაობის სპეციფიკას, ქართული მართვის მოწმობების კატეგორიებსა და გაცემის წესს, აგრეთვე იმ სერვისებს, რომლებსაც სააგენტო მოქალაქეებს სთავაზობს. სტუმრებმა სააგენტოს ინფრასტრუქტურაც დაათვალიერეს.

პოლიციამ პროსტიტუციის ხელშეწყობისა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით, 11 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 11 პირი დააკავეს.

წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ პროსტიტუციის ხელშეწყობასა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1967 წელს დაბადებული დ.ე., 1974 წელს დაბადებული ნ.ბ., 1967 წელს დაბადებული გ.ც., 1988 წელს დაბადებული ნ.ო., 1982 წელს დაბადებული თ.შ., 1971 წელს დაბადებული დ.ხ., აგრეთვე, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევები: 1970 წელს დაბადებული ი.ჭ., 1981 წელს დაბადებული გ.ქ., 1980 წელს დაბადებული რ.კ., 1979 წელს დაბადებული ზ.კ., და 1964 წელს დაბადებული ნ.დ.

დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები თბილისში, ხიზანიშვილის, ჭირნახულისა და აგლაძის ქუჩებზე მდებარე სასტუმროების ნომრებს, კლიენტების მომსახურების მიზნით, შესაბამისი თანხის სანაცვლოდ, სისტემატურად გადასცემდნენ ქალებს, რომლებიც პროსტიტუციას ეწეოდნენ.

აღნიშნული ქალები კი, სექსუალური მომსახურეობის გაწევის შედეგად მიღებული ანაზღაურებიდან, ბრალდებულებს გარკვეულ თანხას უხდიდნენ.

სამართალდამცველებმა, სასტუმროებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, პროსტიტუციის ხელშეწყობის შედეგად მიღებული თანხა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ პროსტიტუციის ხელშეწყობასა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემას გულისხმობს.

ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში, სამინისტროს ანგარიში წარადგინა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოს პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში, სამინისტროს მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის, მიმდინარე პროექტებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა.

ვახტანგ გომელაურმა გასული წლის საქმიანობის მიმოხილვისას განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2022 წელს, აქტიურად განაგრძო დანაშაულთან უკომპრომისო ბრძოლა, როგორც პრევენციული ღონისძიებები, ასევე, მომხდარ დანაშაულებზე სწრაფი რეაგირება, რაც სტატისტიკურ მონაცემებში აისახა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ პოლიციის ეფექტიანი მუშაობის შედეგად, 2022 წლის დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი უპრეცედენტოდ მაღალია – 62%-ს აღემატება. ამასთან, შემცირებულია ისეთი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულები, როგორებიცაა: მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ყაჩაღობა და ქურდობა.

როგორც ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, 2022 წელს დასრულდა კრიმინალური პოლიციის რეფორმის პირველი ეტაპი – სრულად გაიმიჯნა ოპერატიული, საგამოძიებო და პრევენციული მიმართულებები. რეფორმის ფარგლებში, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტმა თბილისის ყველა რაიონი მოიცვა. თბილისის შემდეგ, რუსთავი გახდა პირველი ქალაქი, სადაც მართლწესრიგის ოფიცრები უკვე შეუდგნენ საქმიანობას.

ვახტანგ გომელაურმა ხაზი გაუსვა, რომ გასულ წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა, განახლდა ავტოპარკი, სპეციალური ტექნიკა და აღჭურვილობა. 2022 წელს, საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციის შედეგად, სამი ახალი შვეულმფრენის შესყიდვის მიზნით, ფრანგულ კომპანია Airbus Helicopters-თან ხელშეკრულება უკვე გაფორმდა. შვეულმფრენები, რომლებსაც სამინისტრო შეიძენს, მრავალფუნქციურია და შეუძლიათ შეასრულონ საპოლიციო, სატრანსპორტო, სამძებრო და სამაშველო ოპერაციები.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სამინისტროს ყველა თანამშრომელს საზოგადოებრივი წესრიგისა და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის გაწეული დაუღალავი შრომისთვის მადლობა გადაუხადა.

ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ სამინისტროს თანამშრომელთა სოციალური პირობების გაუმჯობესება, მათთვის ღირსეული და სათანადო სამუშაო გარემოს შექმნა უწყების უმთავრესი პრიორიტეტია.

2022 წლის პირველი იანვრიდან, პოლიციელების, პატრულ-ინსპექტორების, მესაზღვრეების, მეხანძრე-მაშველებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომლის ხელფასები 10%-ით გაიზარდა. 2023 წლიდან, შტატიანი თანამშრომლების ხელფასი – 20%-ით, ხოლო დანარჩენი თანამშრომლების – 10%-ით გაიზარდა, როგორც ყველა, სხვა საჯარო უწყების თანამშრომლებისა.

ვახტანგ გომელაურმა „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობის პროექტზეც ისაუბრა. მისი თქმით, პროექტის ფარგლებში, 1000-მდე პოლიციელი მიიღებს ბინას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ 2023 წელსაც აქტიურად გაგრძელდება რეფორმები, ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის განახლება.

დიდებული მარცხი – საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს!

მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატი მიმდინარე წლის 25 აგვისტოდან, 10 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება. საკალათბურთო ფორუმს სამი ქვეყანა – იაპონია, ფილიპინები და ინდონეზია უმასპინძლებს. ჯგუფური ეტაპის შეხვედრები სამივე ქვეყანაში შედგება, აი, პლეი-ოფები კი – ფილიპინების დედაქალაქ მანილაში. სწორედ მანილა უმასპინძლებს 29 აპრილს, ჯგუფური ეტაპის წილისყრას, სადაც 32 ნაკრები 4 ქვეჯგუფში გადანაწილდება და პლანეტის საუკეთესო გუნდის გამოსავლენად იბრძოლებს. ეს ინფორმაცია, შესაძლოა, რიგითი ამბავი ყოფილიყო და მხოლოდ კალათბურთის თავგადაკლულ ქომაგებს დააინტერესებდათ, მაგრამ ახლა საქმე სხვაგვარადაა – მსოფლიოს საუკეთესო 32 ნაკრებში საქართველოცაა. საუკუნის მატჩი, ასე შეიძლება მოინათლოს ისლანდიასთან დაპირისპირება, რომელსაც 26 თებერვალს, თბილისის სპორტის ახალმა სასახლემ უმასპინძლა. იმის გამო, რომ რეიკი-ავიკში მოგებული გვქონდა, შინ, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, მხოლოდ 3 ქულით უნდა წაგვეგო და ამ შემთხვევაშიც კი გავდიოდით მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. გავდიოდით ისტორიაში პირველად...

დარწმუნებული ვარ, აღნიშნულ შეხვედრას კალათბურთის მოყვარულმაც და არამოყვარულმაც უყურა და თრილერი, რომელიც გათამაშდა, გულგრილს არავის დატოვებდა. სწორედ 3 ქულით წავაგეთ, მაგრამ ეს მარცხი მოგების ტოლფასი იყო და ახლა 29 აპრილის წილისყრას მოუთმენლაად ველით. ვინ იცის, ეგებ, ბედმა ისეთი მეტოქეები გვარგუნოს, პლეი-ოფში გასვლაზეც ვიფიქროთ.

და ერთი, ძალიან, ძალიან საინტერესო რამ, რაზეც მატჩის ბოლოს აქცენტი არავის გაუკეთებია, მაგრამ შემდეგ, როცა ემოციები ჩაცხრა, საკალათბურთო წრეებში ამაზე შიშით საუბრობდნენ. ბოლო წამს, როცა 3 ქულას ვაგებდით, ბურთი ჩვენს ამერიკელ ლეგიონერს, თად მაკფადენს მიუვიდა და მანაც ანგარიშმიუცემლად, მეტოქის ფარისკენ გაისროლა. ის ბურთი რომ ჩავარდნილიყო, ანგარიში გათანაბრდებოდა და დაინიშნებოდა დამატებითი ტაიმი, რომელიც არავინ იცის, როგორ დასრულდებოდა.

„ეს იყო დიდებული წაგება, ჩემს კარიერაში კი უბედნიერესი დღე“, – განაცხადა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების თავკაცმა, ილიას ზუროსმა.

„ჩემი გუნდით წარმოუდგენლად ვამაყობ, საქართველოს კი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას ვულოცავ“, – სულ ეს იყო, რაც ისლანდიელთა დამრიგებელმა ნამატჩევს თქვა.

სვავები „ნაპოლის“ თავზე და დასაშლელად განწირული გუნდი

იტალიურმა „ნაპოლიმ“ პირადი რეკორდი დაამყარა. საწყის 24 ტურში, 21 შეხვედრა კლუბს აქამდე არასოდეს მოუგია, ახლა კი... ახლა ლუჩანო სპალეტის შეგირდები დაფრინავენ და მათთვის არ არსებობს მეტოქე, რომელთანაც მუხლი აუკანკალდებათ – გადიან და თამაშობენ იმდენად ლაღად და ლამაზად, რომ ყველა აღნიშნავს, დღეს „ნაპოლი“ არა მარტო იტალიაში, არამედ, მსოფლიოში თამაშობს იმას, რის გამოც ფეხბურთი უყვართ. რაღა თქმა უნდა, სასიხარულოა, რომ ამ ყველაფერში ლომის წილი ხვიჩა კვარაცხელიაზე მოდის და ქართველი შემტევი ყველა შეხვედრაში ამტკიცებს თავის მაღალ კლასს. თუმცა, წარმატებულ სერიას თავისი მინუსიც აქვს და იტალირუმა მედიამ სწორედ ამ „მინუსზე“ გააკეთა აქცენტი.

„ნაპოლის“ ყველა თამაშზე გრანდ-კლუბების სკაუტები დადიან. „აინტრახტთან“ საჩემპიონთალიგო შეხვედრას ტრიბუნებიდან „მანჩესტერ იუნაიტედის“ წარმომადგენლებმა უყურეს, მანამდე „რეალის“ სკაუტები შენიშნეს, იტალიის ჩემპიონატის შეხვედრაში – „ბარსელონასა“ და „არსენალი“ წარმომადგენლები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიდი კლუბები ზაფხულში „ნაპოლის“ ნაწილებად დაშლიან და მის ლიდერებს წაიყვანენ. ეჭვს არ იწვევს, რომ ნეაპოლელები წელს იტალიის ჩემპიონები გახდებიან, უახლოეს მდევარს 18 ქულით უსწრებენ და პირველობას აუცილებლად ვადაზე ადრე გაიფორმებენ. მერე კი ეს შესანიშნავი გუნდი აუცილებლად დაიშლება და კლუბის პრეზიდენტი, აურელიო დე ლაურენტისი დიდ მოგებასაც ნახავს. უკვე მიდის საუბარი იმაზე, რომ სეზონის ბოლოს „ნაპოლის“ არამარტო ლიდერები, არამედ, მთავარი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტიც დატოვებს“, – წერს იტალიური მედია.

სხვებმა თავისი იდარდონ, ჩვენ კი ხვიჩაზე ვთქვათ. თუ კლუბიდან ლიდერები წავლენ, წასასვლელად კვარაცხელიაც უნდა გაემზადოს, რადგან დაცლილი და სახეცვლილი „ნაპოლი“ ის აღარ იქნება, რაც წელს არის. კვარას შეძენის სურვილი რამდენიმე გუნდს უკვე აქვს და ისინი მზად არიან, ქართველში 100 მილიონი და მეტიც გადაიხადონ. ჰო, ისიც ითქვა, ფლორენტინო პერესი ჯერ ჩუმად არის, მაგრამ უკვე ნიადაგს ამზადებს იმისთვის, რომ კვარაცხელიამ ახალი სეზონი მადრიდის „რეალში“ დაიწყოსო.

პუტინის გამო, სეოკ-ი სკანდალში გაეხვა

არცთუ დიდი ხნის წინ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ მსოფლიოში 27 კონფლიქტია, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მხოლოდ რუს და ბელარუს სპორტსმენებს სჯის, რაც არასწორიაო. ვერ გეტყვით, როგორ და რანაირად გაიგეს სეოკ-ში პუტინის სიტყვები, მაგრამ განცხადება გაკეთდა, რომლის მიხედვითაც, სეოკ-ი 2024 წლის ოლიმპიადისთვის, ჰიმნის, გერბისა და დროშის გარეშე ანუ ნეიტრალური სტატუსითა და სეოკი-ის დროშით, შესაძლოა, რუსი და ბელარუსი სპორტსმენები დაუშვან. ჯერჯერობით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ აკონკრეტებს, როგორი კრიტერიუმებით მოხდება ეს ყველაფერი, მაგრამ მათ განცხადებას საპროტესტო ტალღა უკვე მოჰყვა.

„იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ფორუმზე გრძელდება დისკუსია სპორტის სფეროში რუსეთისა და ბელარუსის წინააღმდეგ სანქციების თაობაზე, ჩვენ, როგორც მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლები, სხვებზე მეტად ვალდებულები ვართ, დავიცვათ საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში რუსეთისა და ბელარუსის ნებისმიერი ფორმით არდაშვების პოზიცია. იმის გათვალისწინებით, რაც ხდება, მიგვაჩნია, რომ სეოკ-ის განცხადება საშინელია და ჩვენ ვიფიქრებთ, ასეთ შემთხვევაში, ღირს თუ არა, 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობა“, – საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ეს საპროტესტო წერილი ჩეხეთის, ესტონეთის, ლიეტუვის, ლატვიის, პოლონეთისა და სლოვაკეთის კომიტეტებმა გაუგზავნეს. ამ პროტესტს, უახლოეს დღეებში, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტებიც შეუერთდებიან.

როგორც იქნა – „ვალენსიამ“ მოიგო, მამარდაშვილი საუკეთესოა

108 დღის შემდეგ, ესპანურმა „ვალენსიამ“ პრიმერა-დივიზიონში გამარჯვება მოახერხა. ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, „ღამურებმა“ ერთ-ერთი ლიდერის, „რეალ სოსიედადის“ დამარცხება შეძლეს. ამ გამარჯვებაში გიორგი მამარდაშვილმა ლომის წილი რომ შეიტანა, იქიდანაც ჩანს, რომ ის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ქართველმა კიპერმა არაერთი რთული ბურთი მოიგერია.

გამარჯვების მიუხედავად, ვალენსიელები 23 ქულით, მე-18 ადგილზე ანუ გასავარდნ ზონაში არიან და 5 მარტს, ურთულესი შეხვედრა ელით – „ნოუ კამპზე“ „ბარსელონას“ სტუმრობენ. კატალონიურმა გრანდმა ბოლო ტურში სტუმრად „ალმერიასთან“ წააგო და „ვალენსიას“ ძალიან, ძალიან გაბრაზებული დაუხვდება.

ტაშკენტში – საინტერესო შემადგენლობით

3-5 მარტს, ტაშკენტი ძიუდოისტთა გრანდ-სლემს უმასპინძლებს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ნაკრებში უდიდესი კონკურენციაა, ტაშკენტის ტურნირზე სამწვრთნელო შტაბს ის შემადგენლობა მიჰყავს, რომლებსაც საკუთარი შესაძლებლობები ადრეც დაუმტკიცებიათ და ამის გაკეთება ახლაც მოუწევთ. მხოლოდ იმის თქმა რად ღირს, რომ ტაშკენტში, მსოფლიოს ჩემპიონი ლუხუმ ჩხვიმიანი იჭიდავებს და ტატამზე გავა ნაკრების კაპიტან, ვარლამ ლიპარტელიანი. უზბეკეთის დედაქალაქში იქნება ქალთა ნაკრების ლიდერი ეთერ ლიპარტელიანი. მთლიანობაში კი ჩვენი გუნდის შემადგენლობა ასეთია:

-60კგ. – ლუხუმ ჩხვიმიანი, ამირან დარბაისელი;
-66კგ. – ბაგრატ ნინიაშვილი;
-81კგ. – ლევან გუგავა;
-90კგ. – ბექა ღვინიაშვილი, უშანგი მარგიანი;
-100კგ. – ვარლამ ლიპარტელიანი, ონისე სანებლიძე;
+1000კგ. – გელა ზაალიშვილი;
-57კგ. – ეთერ ლიპარტელიანი;
+78კგ. – სოფიო სომხიშვილი.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ უზბეკეთის ნაკრები ამ ტურნირზე უძლიერესი შემადგენლობით იქნება და გუნდური პირველი ადგილისთვისაც იბრძოლებს. უზბეკეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჩვენი ჯარჯი ზვიადაურია და მან თავისი ხელი უზბეკებს კარგა ხანია დაატყო.

საგინაშვილი შეჯიბრს ჩაეხსნა, მაგრამ მაინც მოიგო



დუბაიში, King of the table 6-ის ღონისძიება გაიმართა, სადაც უძლიერესი მკლავის მქონე მამაკაცი უნდა გამოვლენილიყო. მთავარი შეხვედრა ქართველ ლევან საგინაშვილსა და იტალიელ ერმეს გასპარინს შორის შედგა. მოგეხსენებათ, ლევანი 2018 წლის შემდეგ დაუმარცხებელია და მასთან საბრძოლველად მეტოქეები განსაკუთრებით ემზადებიან. ასე იყო ამჯერადაც, გასპარინი ყველაფერს აკეთებდა მოსაგებად, თუმცა ლევანი 4:0 დაწინაურდა. შემდეგი ორი დაჭიდება ქართველმა „ჰალკმა“ წააგო და ბრძოლა შეწყვიტა, რადგან თავი შეუძლოდ იგრძნო და ჟანგბადის ბალიშებიც კი დასჭირდა. იმის მიუხედავად, რომ ბრძოლა შეწყდა, 7 შესაძლებლობიდან, ლევანს 4 უკვე მოგებული ჰქონდა და საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა.

„ფიზიკურად ახლა თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, მაგრამ გამარჯვებით უბედნიერესი ვარ. ეს ჩემი ცხოვრების ბრძოლა იყო და მიხარია, რომ გავიმარჯვე. გასპარინიმ ისეთი წინააღმდეგობა გამიწია, როგორსაც არ ველოდი, მაგრამ მობილიზება მოვახერხე და მოვიგე“, – თქვა შეხვედრის შემდეგ საგინაშვილმა.

რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა აჭარის რეგიონში

მე-8 გვერდიდან

წლებია, ამ ტიპის ხარვეზებს სახელმწიფო მაკონტროლებლები ეკონომიკური პროფილის სამინისტროებშიც ავლენენ ხოლმე, სხვა უწყებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში 1 061 406 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში ცვლილებების საჭიროების განსაზღვრა არ განხორციელდა სათანადო შესწავლისა და დროული რეაგირების შედეგად:

„შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს დადგენილ ვადაში ხელშეკრულებებში ცვლილებების განხორციელებას და შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულების სტატუსის მინიჭებას. ქედის მუნიციპალიტეტის მიერ, არასწორი დაანგარიშების შედეგად, მიმწოდებელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის, 12 156 ლარის ნაცვლად, დაეკისრა 4 889 ლარის გადახდა. ამასთან, პირგასამტეხლოს ბიუჯეტში გადახდის მიზნით, სათანადო ღონისძიებები არ გატარებულა“.

რაც შეეხება საწვავის გამოყოფისა და ხარჯვის ნაკლოვანებებს, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ საწვავის დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით, ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დადასტურებას, რის გამოც 2020-2021 წლებში, ჯამში – 106 817 ლარის ღირებულების საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვა არ დასტურდება; ასევე, არ არის დარეგულირებული მუნიციპალური ავტოპარკის მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

ხარვეზები შიდა კონტროლის სისტემაში, აუდიტორებმა ქედის მუნიციპალიტეტშიც გამოავლინეს და დაასკვნეს, რომ მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობისა და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას.

დარღვევები ხულოს მუნიციპალიტეტში

რაც შეეხება ხულოს მუნიციპალიტეტს, სახელმწიფო აუდიტორების მიერ გამოვლენილი ხარვეზები ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვით დავიწყოთ. ვნახოთ, რა დარღვევები აღმოჩმნდა ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით:

„ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო ინფრასტრუქტურული პროექტების სათანადო დაგეგმვა-განხორციელება. შედეგად, მიღებულია 1 882 968 ლარის სახელშეკრულებო ღირებულების არასათანადოდ შესრულებული და შეჩერებული ინფრასტრუქტურული პროექტები, ხოლო შესყიდვის ანგარიშების არასათანადო ფორმით წარდგენის გამო, ვერ მოხერხდა 6 972 197 ლარის სახელშეკრულებო ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობისათვის გამოყენებული რესურსების იდენტიფიცირება და დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის დადგენა. ამასთან, უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორების შესახებ, შემსრულებელ კომპანიებზე გაგზავნილი შვიდი მოთხოვნიდან, სამ შემთხვევაში რეგირება არ განხორციელებულა, ხოლო ოთხ შემთხვევაში, უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, ნაწილობრივ იქნა გამოსწორებული“.

რა თქმა უნდა, დარღვევებია აქტივების მართვაშიც, კერძოდ, აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ ხულოს მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ბალანსზე რიცხული 41 112 118 ლარის ღირებულების აქტივებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, ამასთან, მუნიციპალიტეტის მიერ არ არის აღრიცხული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების დროს, ქონების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური აქტივები და არ ხდება მათი გამოყენების სათანადო მონიტორინგი, რის შედეგადაც უცნობია მათი მდგომარეობა და განთავსების ადგილი.

„ხულოს მერიაში, ქონების მართლზომიერ გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს ქონების თვითნებურად გამოყენების ფაქტების დროულ გამოვლენას და არ ხორციელდება სათანადო რეაგირება, რაც უარყოფითად აისახება საბიუჯეტო სახსრების მობილიზების შედეგებზე. ამასთან, საიჯარო ხელშეკრულებების შესაბამისად განსაზღვრული გადასახდელი თანხები ბუღალტრულად არ არის აღრიცხული. რაც შეეხება შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებს, მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება დოკუმენტურად არ დასტურდება. ამასთან, შრომის ანაზღაურების სახით 2 819 ლარის ზედმეტად გაცემის ფაქტებიც გამოვლინდა“.

ხარვეზებია ტრანსპორტის ხარჯებშიც, რადგან სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ საწვავის დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დადასტურებას. შედეგად, 2020-2021 წლებში, ჯამში – 95 523 ლარის ღირებულების საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვა არ დასტურდება; ასევე, დაურეგულირებელია მუნიციპალური ავტოპარკის მართვასთან დაკავშირებული საკითხებიც.

„დარღვევებია ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა-შესრულებასთან დაკავშირებითაც – ირკვევა, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული რიგი პროგრამებით, შედეგებისა და მიზნის მისაღწევად დახარჯული რესურსების ურთიერთკავშირი ვერ დგინდება. ამასთან, რიგ შემთხვევებში, პროგრამების ფარგლებში, ბენეფიციართა გამოვლენის მიზნით შექმნილი შიდა კონტროლის მექანიზმები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს პროგრამის ბენეფიციართა შეფასება-შერჩევას“.

შიდსისგან მესამე პაციენტი განიკურნა

გერმანელმა მედიკოსებმა, ღეროვანი უჯრედების გადანერგვის შედეგად, აივ-ინფექციისგან განკურნების კიდევ ერთი შემთხვევა დააფიქსირეს. მედიის ცნობით, ეს 53 წლის მამაკაცია, რომელსაც „დიუსელდორფელ პაციენტს“ უწოდებენ. 2013 წელს, სისხლის კიბოს გამო, მას ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია დასჭირდა, დონორის ბიომასალა კი ანტი-აივ მუტაციას შეიცავდა, რომელიც ჩვენს პლანეტაზე მოსახლეობის მხოლოდ 1%-ს აქვს. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, პაციენტი აგრძელებდა ანტივირუსული პრეპარატების მიღებას, 2018 წელს კი ექიმებმა განაცხადეს, რომ მისი ორგანიზმიდან აივ-ინფექციის კვალი საერთოდ გაქრა. მედიკოსები პაციენტს კიდევ ოთხი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ და ახლა მათ დაადასტურეს, რომ ხანგრძლივ რემისიასთან კი არა, აივ-ინფექციისგან სრულ განკურნებასთან გვაქვს საქმე. „დიუსელდორფელი პაციენტი“ მსოფლიოში მესამე ადამიანია, რომელსაც ღეროვანი უჯრედების გადანერგვის შედეგ, შიდსისგან სრულად განკურნებულად თვლიან. პირველი ასეთი ადამიანი, ტიმოთი რეი ბრაუნი, იგივე „ბერლინელი პაციენტია“, ხოლო 2020 წელს, ლონდონელი მამაკაცის განკურნებაც დადასტურდა. გადანერგვის შემდეგ, შიდსის სიმპტომები კიდევ ორ ამერიკელს გაუქრა, თუმცა აქ მხოლოდ რემისიაზე საუბრობენ, რადგან გადანერგვიდან ჯერ საკმარისი დრო არ გასულა.

პირველი აიფონი რეკორდულ ფასად გაიყიდა

პირველი თაობის აიფონი, რომელიც ორიგინალ ყუთში, გაუხსნელ მდგომარეობაში იყო, ონლაინ-აუქციონზე რეკორდულ ფასად – 63 ათას დოლარზე მეტად გაიყიდა. ეს გაჯეტი 2007 წელს გამოვიდა და დასაწყისში მისი ფასი 600 დოლარი იყო. ამ მოდელს 3.5-დიუმიანი ეკრანი, 2-მეგაპიქსელიანი კამერა და 8 გიგაბაიტი ოპერატიული მეხსიერება აქვს. აღსანიშნავია, რომ Apple-ს ძველი ტექნიკა კოლექციონერებში ძვირად ფასობს. გასულ წელს, ანონიმმა მყიდველმა Apple-1-ის კომპიუტერული პლატა, პირადად სტივ ჯობსის მიერ დანომრილი, 442 ათას დოლარად შეიძინა.

დაავადებებისგან მეგობრობა იხსნის

სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომელთაც შუახნის ასაკში გარშემომყოფებთან მყარი და თბილი ურთიერთობები ჰქონდა, სიბერეში იშვითად ავადდებიან ასაკობრივი დაავადებებით. ასეთ დასკვნამდე ავსტრალიელი და ამერიკელი სწავლულები მივიდნენ. მათ ხანგრძლივი კვლევები 7.6 ათას ქალზე ჩაატარეს. 20 წლის განმავლობაში ისინი სწავლულებს საკუთარი ჯანმრთელობისა და ემოციური კეთილდღეობის შესახებ ცნობებს აწვდიდნენ. ამ პერიოდში ქრონიკული დაავადებები კვლევის მონაწილეთა 58%-ს გაუჩნდა. მათი განვითარების ალბათობა ორჯერ ნაკლები ჰქონდათ იმ მანდილოსნებს, რომლებიც მაქსიმალურად კმაყოფილნი იყვნენ სხვა ადამიანებთან ურთიერთობით. აღმოჩნდა, რომ მეგობრობა დაავადებების განვითარების რისკზე ისევე ახდენდა გავლენას, როგორც ჭარბი წონა, ან მოწევა.

ნარკოტიკს მშენებლობაში იყენებენ

ლათინოამერიკულ ქვეყანაში, ეკვადორში, ჩამორთმეული კოკაინი იმ რაოდენობით დაგროვდა, რომ მისგან შენობების აშენება დაიწყეს. ყოველ კვირას, სამართალდამცავების მიერ ამოღებული ასობით შეფუთვა ნარკოტიკი მიაქვთ გადამამუშავებელ ქარხნებში, სადაც მას სხვა ნარჩენებთან ერთად ანაწევრებენ. ფხვნილს ურევენ ცემენტს, ქვიშასა და წყალს. მიღებული მასალით შენობების საძირკველს ასხამენ. ნარკოტიკების უტილიზაციის ამ მეთოდს ინკაფსულაციას უწოდებენ. თვლიან, რომ ეს მის დაწვაზე ოთხჯერ უფრო სწრაფი მეთოდია. ეკვადორი ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც ინკაფსულაციის სამრეწველი მასშტაბებით გამოყენება დაიწყო.

ქალაქში ბუშტები აკრძალეს

კალიფორნიაში, ქალაქ ლაგუნა-ბიჩში, ბუშტების გაყიდვა და გამოყენება აიკრძალა. ამის მიზეზი ფრინველებისა და ოკეანის დაცვაა. შეზღუდვები ძალაში 2024 წლიდან ამოქმედდება. აღსანიშნავია, რომ ასეთი საკანონმდებლო ინიციატივები სულ უფრო მეტ ქალაქში ჩნდება. ლაგუნა-ბიჩში ყველა ტიპის საჰაერო ბუშტის გაშვება და მათი საზოგადოებრივ ადგილებში დემონსტრირება იკრძალება. მათ არც ქალაქის სხვადასხვა ღონისძიებაზე დაუშვებენ. კანონის დარღვევისთვის ჯარიმა 500 დოლარამდეა. თუკი ვინმეს ბუშტებით საკუთარი სახლის მორთვა მოუნდება, ამას არავინ დაუშლის. აღსანიშნავია, რომ მსგავსი აკრძალვა უკვე მოქმედებს მერილენდისა და ვირჯინიის შტატებში, ასევე, ჰავაიზე. მსგავს კანონს განიხილავენ ნიუ-იორკსა და ფლორიდაშიც. ოკეანეში მოხვედრისას, საჰაერო ბუშტები ათწლეულების განმავლობაში იხრწნება. გარდა ამისა, შესაძლოა, ლატექსი შეჭამონ ზღვის ცხოველებმაც. გადაყლაპული რეზინი 32-ჯერ ხშირად კლავს ფრინველებს, ვიდრე ჩვეულებრივი პლასტმასი.

გზების მოყინვას ასფალტი ებრძვის

ჩინელმა სწავლულებმა შექმნეს დანამატი, რომელიც ასფალტთან შეხებისას თოვლის დნობას იწვევს. ასეთი საფარი მარილისა და ქვიშის ალტერნატივა უნდა გახდეს, რომელსაც თოვლში, გზებზე შლიან. ამ დანამატის შემცველი ასფალტი კი თავად გამოყოფს მოყინვის საწინააღმდეგო ნივთიერებებს. მკვლევარებმა აცეტატის საფუძველზე შექმნეს მარილი, რომელიც ქლორიდებს არ შეიცავს – ტრადიციულად, სწორედ ისინი ებრძვიან ყინვას გზებზე. მარილი ქლორიდების გარეშე არც ისე საზიანოა გარემოსა და მანქანებისთვისაც. გარდა ამისა, ის ეფექტიანია დაბალ ტემპერატურაზეც. მკვლევარებმა ცდები რეალურ ავტომაგისტრალზე ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ ასფალტი, ახალი დანამატით, მასზე დაცემული თოვლის დნობას იწვევს. ლაბორატორიული კვლევებით დადგინდა, რომ ასეთი მოდიფიცირებული გზის საფარი მოყინვის საწინააღმდეგო თვისებებს შვიდი-რვა წლის განმავლობაში შეინარჩუნებს.

კარგი ძილი სოცოცხლეს ახანგრძლივებს

კვლევებმა აჩვენა, რომ მამაკაცები, რომელთაც რეგულარულად კარგად სძინავთ, ხუთი წლით უფრო მეტს ცოცხლობენ, ვიდრე ისინი, რომლებიც კარგად გამოძინებას ვერ ახერხებენ. რაც შეეხება სუსტ სქესს, აქ კარგი ძილის მქონეები ორი წლით იხანგრძლივებენ სიცოცხლეს. ჩვეულებრივ, ასეთი ადამიანები, ცხოვრების მანძილზე კარგი ჯანმრთელობითაც გამოირჩევიან. როგორც სწავლულები ამბობენ, კარგი ძილის ხანგრძლივობა, იდეალურ შემთხვევაში, შვიდი-რვა საათია, კვირაში ორჯერ მეტად არ უნდა გაჭირდეს ჩაძინება, არ უნდა იღებდეთ ძილის მომგვრელ საშუალებებს და გაღვიძებისას კარგი განწყობა, კვირაში ხუთი დღე მაინც უნდა გქონდეთ. ეს დასკვნები სპეციალისტებმა, 2013-2018 წლებში, 172 ათასზე მეტი ადამიანის ძილის ხარისხის შესწავლის შედეგად დადეს. ახლა სწავლულები იმის გარკვევას ცდილობენ, რატომ არის განსხვავება ქალებსა და კაცებს შორის სიცოცხლის გახანგრძლივების მხრივ, თუკი მათ ძილის ერთნაირი ხარისხი ჰქონდათ.

აიფონმა პოლიციაში „ჩაუშვა“

მთვრალი მძღოლი სამართალდამცავებთან საკუთარმა ტელეფონმა „ჩაუშვა“. ახალ ზელანდიაში, 46 წლის მამაკაცი ღამით ავტომობილით გადაადგილდებოდა და ის ხეს შეეჯახა. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის აღმოჩენის შემდეგ, iPhone-14-მა თავად დარეკა პოლიციაში. მძღოლმა დისპეტჩერს განუცხადა, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუმცა ცხელ ხაზზე იეჭვეს და შემთხვევის ადგილზე პატრული გაგზავნეს. იქ მისულმა ოფიცრებმა კი მაშინვე შენიშნეს, რომ მძღოლი მთვრალი იყო. აღსანიშნავია, რომ ავარიის აღმოჩენის სისტემა Apple-ს სმარტფონებში iPhone-14-ის გამოსვლისას გაჩნდა. ფუნქცია სავტომობილო ავარიის განსაზღვრისთვის გადამცემებსა და ალგორითმებს იყენებს.

გრძელი სახელით რეკორდების წიგნში მოხვდა



ახალზელანდიელი ლოურენს გრეგორი უოტკინსი, მსოფლიოში ყველაზე გრძელი სახელის მქონე ადამიანია, რის გამოც ის გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. მამაკაცმა სახელის შეცვლაზე განცხადება 1990 წლის 8 მარტს შეიტანა, მოგვიანებით კი, ახალი სახელით, ის იუსტიციის სამინისტროში დაარეგისტრირეს. მას შემდეგ, მისი სრული სახელი ოფიციალურად, 2 300 სახელსა და ერთ გვარს შეიცავს. როგორც ლოურენსი ამბობს, ყოველდღიური გამოყენებისთვის გრძელი სიიდან ის სახელები ამოარჩია, რომლებიც მნიშვნელოვანია თავად მისთვის და მისი ოჯახისთვის. ახალზელანდიელის პირად საიტზე განთავსებულია მისი ყველა სახელი, რომელთა შორისაა ჰანიბალი, შერი, ნაპოლეონი, ნარცისი და შერლოკი.

ტვინის გამაახალგაზრდავებელი პრეპარატი შექმნეს



ამერიკელმა სწავლულებმა, კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, აღმოაჩინეს, რომ ექსპერიმენტულ პრეპარატ ISRIB -ის სულ რამდენიმე დოზა მღრღნელებში გონებრივი უნარებისა და ასაკობრივი მეხიერების გაუარესებას „უკან აბრუნებს“. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ კვლევებისას, პრეპარატმა ქალა-ტვინის ტრავმიდან რამდენიმე თვეში, მეხსიერების ფუნქციის აღდგენა შეძლო, დაუნის სინდრომის დროს – კოგნიტური დარღვევების აღმოფხვრა, ხმაურის გამო კი – სმენის დაკარგვის აღკვეთა. ასევე, პრეპარატს აქვს უნარი, შეებრძოლოს პროსტატის კიბოს რამდენიმე სახეობას და გააუმჯობესოს კონიტური ფუნქციები ჯანმრთელ თაგვებში. კვლევების მონაცემები აჩვენებს, რომ დაბერებული ტვინი სამუდამოდ არ კარგავს ძირითად კოგნიტურ უნარებს, – აცხადებენ სწავლულები.

„სიძულვილის ცხელი ხაზი“ გახსნეს

გერმანიაში პირველი „სიძულვილის ცხელი ხაზი“ გაიხსნა, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია დარეკოს, იჩხუბოს, იყვიროს და უცენზურო სიტყვებიც გამოიყენოს. ამგვარი ცხელი ხაზის გახსნის იდეა ერთ-ერთი სარეკლამო სააგენტოს თანამშრომლებს – რალფ შულტესა და ალექსანდერ ბრანდერბურგს ეკუთვნის. ისინი განრისხებულ კლიენტებს მშვიდად უსმენენ და ამისთვის წუთში 1.49 ევროს იღებენ. ოპერატორების თქმით, ისინი ზარებს დღე-ღამის განმავლობაში, 16-18 საათამდე იღებენ. ქალაქ ვისბადენში, „სიძულვილის ცხელი ხაზი“ უკვე რამდენიმე კვირაა ამოქმედდა. იდეის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ჩხუბი და გინება ადამიანს უფრო უმძაფრებს განწყობას და მათ ფსიქიკაზე ცუდად აისახება, თუმცა ავტორები არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას. მათი თქმით, ცხელი ხაზი სასარგებლოა ადამიანებისთვის, თანაც ისინი არ შედიან მათთან ურთიერთობაში, რომლებსაც ცხადად ეტყობათ ფსიქოლოგიური სტრესი და მათ სპეციალისტებთან გასაუბრებას ურჩევენ.

ყველი კარტოფილისგან?

„მწვანე კონტინენტის“ მცხოვრებ ენდრიუ დაიჰინს 12 წელი დასჭირდა, რომ კარტოფილის საფუძველზე, ულაქტოზო ყველიანი პროდუქტი დაემზადებინა. ამგვარ კარტოფილის ყველს ავტორმა „ჩატო“ (cheese+potato) უწოდა. ის ისევე გამოიყურება, როგორ ყველი, მასავით დნება და სასიამოვნო გემო აქვს. ამ ყველს საკონდიტრო მიზნითაც გამოიყენებთ – გამოაცხობთ, დესერტებში დაამატებთ და მისგან ნაყინსაც კი დაამზადებთ. მომზადების ტექნოლოგიას ავსტრალიელი არ ამხელს, თუმცა ამტკიცებს, რომ კარტოფილის გარდა, „ჩატოსთვის“ სხვას არაფერს იყენებს. ამჟამად ის ინვესტორების მოძიების პროცესშია, რათა ყველის სარეალიზაციოდ წარმოება დაიწყოს. ახალი ყველის ავტორი დარწმუნებულია, რომ მისი პროდუქტი პოპულარული გახდება ვეგეტარიანელებში, მოეწონებათ მათაც, რომლებსაც ლაქტოზას აუტანლობა აქვთ და იმ ადამიანებსაც, რომლებსაც ნებისმიერი ახალი პროდუქტის გასინჯვა უყვართ.

კლინიკა რბილი სათამაშოებისთვის

ამომავალი მზის ქვეყანაში მუშაობს კომპანია, რომელიც საკუთარ თავს „საავადმყოფოს“ უწოდებს, რადგან რბილ სათამაშოებს, იქ ახალ სიცოცხლეს სძენენ. ორგანიზაციას Fumofu Land & Nuigurumi Health Corporation ჰქვია. მისი თანამშრომლები სასწაულებს ახდენენ – დაზიანებულ და საკმაოდ შელახულ, საყვარელ სათამაშოებს ისე აღადგენენ, რომ ისინი ოჯახის ნამდვილი წევრები ხდებიან. კომპანიის საიტზე უამრავი ფოტო დევს, რომლებზეც ნათლად ჩანან „დაავადებული“ პაციენტები და ამ უჩვეულო კლინიკის „ექიმებისა“ და „მედდების“ „მკურნალობის“ შედეგები. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა ნებისმიერი „პაციენტი“, ასაკისა და მდგომარეობის სიმძიმის მიუხედავად, ოჯახში „საღ-სალამათი“ დაბრუნდეს.

მარიხუანას ძაღლებსაც გაასინჯებენ

ამერიკული კულინარიული ტელეშოუს წამყვანმა მარტა სტიუარტმა შინაური ცხოველებისთვის განკუთვნილი საკვების გაყიდვები წამოიწყო, რომელშიც კანაფია გარეული. ეს ორცხობილები და ზეთია, რომელიც ძაღლებისთვის საკვებ დანამატად შეიძლება გამოიყენონ. საკვებში კანაბიდიოლს უმატებენ – ეს კანაფის ექსტრაქტია და მას არ აქვს ფსიქოაქტიური თვისებები, თუმცა დამამშვიდებლად მომედებს ადამიანებსა და ცხოველებზე. სტიუარტი ამტკიცებს, რომ მისი პროდუქცია საყვარელი ცხოველების ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს, მოუხსნის მათ სტრესს და სახსრების ჯანმრთელობას შეუნარჩუნებს. ახალი საკვების ღირებულება 20-დან 23 დოლარამდეა.

ყურსასმენები აღარ დაგვჭირდება



ისრაელის ტექნოლოგიურმა კომპანია Noveto-მ, მაგიდის დინამიკი წარადგინა, რომელიც ხმის ტრანსლაციას უშუალოდ მომხმარებელზე, ყურსასმენების გამოყენების გარეშე ახდენს. SoundBeamer 1.0 განსაზღვრავს ადამიანის მდებარეობას და ადგენს მისი ყურის მიმართულებებს, შემდეგ კი მომხმარებელს ხმოვან ტალღებს უგზავნის და მისი თავის გარშემო პერსონალურ „ხმოვან ბუშტს“ ქმნის. ვინც უკვე გამოსცადა მოწყობილობა, ამბობენ, რომ ხმების ამგვარი მოსმენა უჩვეულო შეგრძნებებს ტოვებს. თითქოს, მუსიკა ისმის ყურებს შიგნით, მათ წინ, უკან და ზემოთ. ახალი ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, მუსიკას და სხვა ნებისმიერ აუდიოჩანაწერს ყურსასმენის გარეშე უსმინოთ და გარშემო ამით არავინ შეაწუხოთ.

ავტოკალამი ნანომელნით

კალამი ნანომელნით, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია სხვადასხვა ზედაპირზე პატარა ნანოგადამცემების დატანა, საშუალებას იძლევა, კვების პროდუქტებში საშიში ქიმიური ნივთიერებები აღმოაჩინოს და მეტიც, „თვალი მიადევნოს“ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას. ეს ჯადოსნური კალამი აშშ-ის სან-დიეგოს უნივერსიტეტის სწავლულების „შემოქმედებაა“. ნანომელანი გლუკოზაზეც რეაგირებს და ამ კალმის მეშვეობით, სისხლში შაქრის დონესაც განსაზღვრავთ. მელანს შეუძლია რეაგირება სხვადასხვა დამაბინძურებელ ნივთიერებებზე, მათ შორის, მძიმე მეტალებსა და პესტიციდებზე. ეს მომხმარებელს საშუალებას აძლევს, განსაზღვროს, რამდენად უსაფრთხოა კოსმეტიკა თუ საყოფაცხოვრებო ქიმია, რომლის ყიდვასაც აპირებს. სიახლის გამოყენება სხვადასხვა ზედაპირზეა შესაძლებელი: ადამიანისა თუ ცხოველის კანზე, ასევე, მცენარეების ფოთლებსა და ნაყოფზეც კი. ეს კი შესაძლებელს ხდის, მომხმარებელმა პესტიციდებისა და ჰერბიციდების დონე აკონტროლოს და შედეგად, უფრო უსაფრთხო და სასარგებლო ხილ-ბოსტნეული შეიძინოს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კალამი მხოლოდ პროტოტიპის დონეზეა შექმნილი და გასაყიდად გამოსვლამდე, მას კიდევ ბევრი ცდის გავლა მოუწევს.

ტაქსის ნომერმა ჯეკპოტი მოაგებინა

აშშ-ში, მერილენდის შტატში მცხოვრებმა მამაკაცმა ლატარიაში ჯეკპოტი ტაქსის ნომრების წყალობით მოიგო. 51 წლის ამერიკელი ყვება, რომ საკუთარი მანქანა გაუფუჭდა და Uber-ის ტაქსი გამოიძახა. „მძღოლი ძალიან სასიამოვნო ადამიანი აღმოჩნდა, ვიდრე სამსახურამდე მივიდოდი, გზაში ვლაპარაკობდით. იმდენად მომეწონა ეს ადამიანი, რომ ტაქსის ნომერი დავიმახსოვრე“, – ამბობს კმაყოფილი კლიენტი. მოგვიანებით, მაღაზიაში ლატარიის ბილეთის საყიდლად შევიდა და ერთ-ერთი, სწორედ იმ ტაქსის ნომრების მიხედვით შეავსო, რომლითაც იმგზავრა. მისდა გასაოცრად, ეს ბილეთი იღბლიანი აღმოჩნდა და მამაკაცს 50 ათასი დოლარი მოაგებინა.

ბადრიჯანი სიმსივნეს ებრძვის

სწავლულები აცხადებენ, რომ ბადრიჯანი განსაკუთრებულად სასარგებლო პროდუქტია. ის ერთდროულად რამდენიმე დაავადებისგან გვიცავს. ეს ბაღჩეული კულტურა დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიოქსიდანტებს – ნივთიერებებს, რომლებიც ორგანიზმს თავისუფალი რადიკალებისგან იცავს. ეს უკანასკნელი არღვევს უჯრედის სტრუქტურას, აჩქარებს დაბერების პროცესს და ხელს უწყობს ონკოლოგიის განვითარებას. კვლევების დადასტურებულია, რომ ბადრიჯანში შემავალი ნივთიერება SRG კლავს სიმსივნურ უჯრედებს, აქვეითებს ქოლესტერინის დონეს სისხლში, აფერხებს გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას. ამ მელნისფერ ბოსტნეულს დღეგრძელობის პროდუქტსაც უწოდებენ, რადგან გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობაში მისი დადებითი როლი გამორჩეულია. ბადრიჯანი მდიდარია უჯრედისით, პექტინიტა და ცილებით. ის შეიცავს კალიუმს, კალციუმს, ფოსფორს, რიკინას, მაგნიუმს, ნატრიუმს, ცე, ბე და პე-ჯგუფის ვიტამინებს.

ხელოვნური ინტელექტი დანაშაულს წინასწარმეტყველებს

ამერიკელმა სწავლულბმა, ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან, ალგორითმი შექმნეს, რომელიც 90%-იანი სიზუსტით წინასწარმეტყველებს, ერთი კვირის შემდეგ, სად მოხდება თავდასხმა ან ქურდობა, რადიუსი – 300 მეტრია. ჯერჯერობით, ეს ყველაზე დახვეწილი მეთოდია მსგავს ნამუშევრებს შორის. ხელოვნურმა ინტელექტმა დანაშაულის პროგნოზირება ღია მონაცემების საფუძველზე ისწავლა. ეს კანონზომიერების მონაცემებია დროში და დანაშაულის ჩადენის ადგილებზე. ალგორითმი ჩიკაგოში, ატლანტაში, ოსტინში, ლოს-ანჯელესსა და აშშ-ის სხვა დიდ ქალაქებში დატესტეს. „ჩვენ ქალაქის გარემოს ციფრული ორეული შევქმენით. თუ მას მივაწვდით მონაცემებს, რა მოხდა წარსულში, ის გვეტყვის, რა მოხდება მომავალში“, – გვიხსნიან ალგორითმის ავტორები.

ჩინოვნიკებს გაღიმება დაევალათ

ფილიპინების ქალაქ მულანაის მერმა, არისტოტელ აგირემ დადგენილება გამოსცა, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივ ჩინოვნიკებს სამუშაო ადგილზე გაღიმება დაევალათ. ამასთან, თუკი რომელიმე მის ქვეშევრდომს სამსახურში სევდიანი გამომეტყველებით მჯდომარეს აღმოაჩენენ, ეს დისციპლინარულ გადაცდომად ჩაითვლება.

„თუკი ჩვენი თანამშრომელი ან თანამდებობის პირი, საკუთარი ქმედებით, ამ მოთხოვნას არ დაექვემდებარება, ეს საკმარისი საფუძველი იქნება იმისთვის, რომ მისი საქციელი კეთილსინდისიერი მუშაობის ნორმების დარღვევად ჩაითვალოს“, – ნათქვამია მერის დადგენილებაში.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.